# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 აგვისტო 2006 №176 (2798) ფასი 50 თეთრი




## ოლიმპი უთავკაცოდ დარჩა

ნოდარ აკობია დინამოში წავიდა

4

## სხვა ამერიკელი

ტრაიანო თბილისში დროულად ჩამოვა

12

# ბოლნისის ლომი თუ სოფიის ლევსკი?





# რა ფერ იქნება მილანის საქმე:




დღეს, ჩვენი დროით 16 საათზე, უეფა ოთხკაციან საგანგებო კრებაზე საბოლოოდ გადაწყვეტს, დაუშვას თუ არა იტალიური „მილანი“ ჩემპიონთა ლიგაში. საგანგებო კრების მოწვევა, რომელშიც უეფას შვედი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, თურქი ვიცე-პრეზიდენტი შენეს ერზიკი და კიდევ ორი ჩინოვნიკი შედიან, ძალიან იშვიათად ხდება საჭირო, მაგრამ იტალიურ ფეხბურთში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულმა სკანდალმა ეს გარდაუვალი გახადა.

წესით, ეს საკითხი წინა კვირაში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ საქმის დაწვრილებით შესწავლის მიზნით უეფამ სამსჯელოდ მეტი დრო ითხოვა. ევროპული ფეხბურთის მამები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ამგვარ ფაქტებს, რადგან არ სურთ, ჩემპიონთა ლიგაში საეჭვო რეპუტაციის მქონე კლუბებმა ითამაშონ. მით უმეტეს, რომ კალჩოპოლის პირველადი განაჩენის თანახმად, „მილანს“ კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში არ უნდა მიეღო მონაწილეობა.

თუ „როსონერის“ ჩემპიონთა ლიგაზე დაუშვებენ, მას მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სერბულ „ცრვენა ზვეზდასა“ და ირლანდიურ „კორკ სიტის“ შორის გამარჯვებულთან მოუწევს შეხვედრა ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად, ხოლო თუ ასე არ მოხდა, მის ადგილს, ალბათ, ან სიცილიური „პალერმო“ დაიკავებს, ანაც სხვა ქვეყნის რომელიმე კლუბი, თუმც ეს ნაკლებად სავარაუდოა.

# ვიეირა: იუვეს მძიმე წერტილი



ფრანგი ნახევარმცველის პატრიკ ვიეირას „ინტერში“ გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია და ამას „ნეროაძურის“ პატრონი მასიმო მორატი დღეს ოფიციალურად დაადასტურებს. სავარაუდოდ, ვიეირა ბოლო ფეხბურთელი იქნება, რომელიც სერია B-ში დაქვეითებულ „იუვენტუსს“ გაეცლება. ყოველ შემთხვევაში, ტურინელთა ერთ-ერთ დირექტორ ჟან-კლოდ ბლანის თქმით, ასეა.

„კლუბებს შორის ყველაფერი შეთანხმებულია. პატრიკ ვიეირას „ინტერში“ გადასვლით „იუვენტუსიდან“ ფეხბურთელების წასვლას წერტილი დაესმება. მეტს არავის გავუშვებთ“ — თქვა ბლანმა.

როგორც ამბობენ, „ინტერი“ 30 წლის ფეხბურთელში 9,5 მილიონ ევროს გადაიხდის და მასთან ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. შევახსენებთ, რომ ვიეირა „იუვენტუსმა“ შარშანდელ ზაფხულს ლონდონის „არსენალისგან“ 20 მილიონ ევროდ იყიდა. თავის დროზე მას იტალიის მესამე დიდ კლუბში, „მილანშიც“ უთამაშია.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. დღეს...





თბილისი. 2 აგვისტო. 19 საათი. მიხეილ მესხი

## სიონი ბოლნისი V

# მომდევნო ეტაპის საწინდარი: თამაში მონდომებული და სწორი

ბოლნისის „სიონსა“ და კახა ცხადაძეს დღეს დიდი გამოცდა ელით — მატჩი ბულგარეთის ჩემპიონ „ლევსკისთან“.

შეგახსენებთ, ეს საპასუხო შეხვედრაა. პირველი, სოფიური მატჩი კი მასპინძლებმა 2:0 მოიგეს და ჩემპიონთა ლიგის მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად საკმაო ფორა მიიღეს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, როგორ ითამაშეს ბოლნისელებმა სოფიაში, დღეს მათგან უფრო მეტს უნდა ველოდოთ და არც იქნება სასწაული, „ლევსკი“ კუდამოძუებული თუ გაისტუმრეს. ბუნებრივია, ჩვენი ჩემპიონისთვის ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ, როგორც „სიონის“ თავკაცი კახა ცხადაძე ამბობს, მონდომებისა და სწორი თამაშის წყალობით მათ შეუძლიათ ბულგარელთა დამარცხება.

ვნახოთ, რა და როგორ იქნება დღეს „მიხეილ მესხზე“. ჩვენები კი გუშინდელი ვარჯიშისას ძალიანაც მონდომებულები და დამუხტულები ჩანდნენ...

„სიონმა“, რომელსაც უეფამ ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ „ლევსკის“ მასპინძლობის ნება არასდიდებით არ მისცა, გუშინ „მიხეილ მესხზე“ ივარჯიშა. პირველივე, რაც თვალში მოგვხვდა: კახა ცხადაძის შეგირდები ძალიან მხნედ გამოიყურებიან, ვარჯიშისას კი ფეხბურთელებმა მწვრთნელის რამდენიმე დავალება ისე ზუსტად შეასრულეს, მწვრთნელსაც და მის თანაშემწეებსაც ათქმევინეს, ხვალაც თუ ასე გააკეთებთ, „ლევსკი“ ვერ გაგაჩერებთო...

ბოლნისელები ძალიანაც არ დატვირთულან. გუნდმა მთლიანი შემადგენლობით ივარჯიშა. დისკვალიფიკაციის გამო დღეს ვერ ითამაშებს მარჯვენა მცველი მიხეილ კობაური, დანარჩენები კი მზად არიან და თუ ისევ გამოუცდილობამ არ დაალალატა, დღეს, ემანდ, საჩვენოდ ძალიან სასიამოვნო ამბავიც შეიძლება მოხდეს...

— მართალია, საპასუხო მატჩის წინ უპირატესობა მეტოქეს აქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. მთავარია, ბიჭებმა მთელი სული და გული ჩააქსოვონ, სწორად ითამაშონ და არაფერი იქნება გამორიცხული. ფეხბურთელებს დასაკარგი არაფერი აქვთ — თქვა ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძემ — ვფიქრობ, „სიონმა“ უკვე დაიმსახურა პატივისცემა: გუნდი პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენზე გაცილებით მაღალბიუჯეტიანი გუნდი დაამარცხა.

— პირველი მატჩში „ლევსკიმ“ უპირველესად გამოცდილებითა და კლასით გვაჯობა. მეტოქე გუნდის საშუალო ასაკი 29-30 წელია და ფეხბურთელები დიდი ხანია, ერთად თამაშობენ. სწორედ გამოცდილება და კლასი იყო ის, რომ „ლევსკიმ“ სოფიაში საგოლე მომენტები გამოიყენა, ჩვენებს კი თითქმის ასპროცენტიანი შანსები გაუცუდდათ. პირველ შეხვედრაში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, „სიონმა“ თამაში კონტრშეტევებზეააწყო და ვფიქრობ, ეს სწორი იყო. უპირატესობა უპირატესობად, მაგრამ „ლევსკის“ ორივე გოლი თამაშგარეს მოჰყვა.

— „ლევსკი“ შემტევი გუნდია. შეტევისას მეტოქეს, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ემუქრება ხოლმე, ხანდახან შვიდი-რვაც. ვიმეორებ, მეტოქე ძალიან ძლიერია და პირველ შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— სხვათა შორის, როცა სოფიაში მატჩისას ტრიბუნიდან სხვადასხვა საგნებს ისროდნენ და მატჩი რვა წუთით შეწყდა, იქამდე მასპინძლები ცოტა დაბნეულები იყვნენ, თამაში კი „სიონს“ მიჰყავდა. მატჩის განახლების შემდეგ რიტმი დაირღვა, რითიც „ლევსკიმ“ კარგად ისარგებლა.

— „ლევსკი“ განსაკუთრებით სახიფათოა ფლანგური შეტევებისას. შეტევას მოკლე და საშუალო პასებით ამზადებენ, მერე კი ბურთი ფლანგებზე გადააქვთ. ორივე მხარეს ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ და ორი ცენტრალური თავდამსხმელიც ერთმანეთთან ძალიან კარგადაა შეთამაშებული.

— საპასუხო მატჩისას, რა თქმა უნდა, შევუტევთ და წინა ხაზში ორივე კამერუნელ ლეგიონერს ვათამაშებთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. „ლევსკი“ გამოცდილი გუნდია და კლასიც მეტი აქვს, მაგრამ ჩვენ თუ მოვინდომებთ და სწორად ვითამაშებთ, ეს უპირატესობა გაბათილდება.

...პრესკონფერენცია დამთავრდა, კახა ცხადაძემ გუნდი სასტუმროში გაისტუმრა, თავად კი ტრიბუნაზე ჩამოჯდა და მეტოქის ვარჯიშს დაელოდა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. დღეს

პირველი მატჩი 0:2

ლევსკი სოფია

# არმიასთან ნაომარი ლევსკის სტრატეგია: მთავარია, გავიდეთ



სტანიმირ სტოილოვის და კახა ცხადაძის გულთბილი შეხვედრა

„ლევსკის" ავტობუსი სტადიონს მაშინ მოადგა, როცა „სიონის" თავკაცი კახა ცხადაძე დღევანდელ მატჩზე ლაპარაკობდა. ბულგარელთა თავკაცმა დიდხანს არ გვალოდინა, ჩვენთან შესახვედრად წამოსულ სტანიმირ სტოილოვი გზად წუთით შეყოვნდა, ტრიბუნაზე მეტოქე კოლეგა შენიშნა — კახა ცხადაძემ და სტოილოვმა ერთმანეთი მოიკითხეს, გაამხნევეს და...

ბოლნისის „სიონის" სადღეისო მეტოქე, ბულგარეთის ჩემპიონი სოფიის „ლევსკი" თბილისში გუშინ ჩამოვიდა. მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა საპასუხო მატჩისთვის 19 ფეხბურთელი იახლა და მათ შორის არაა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იგორ ტომაშიჩი. იგი ორიოდ დღის წინ ბულგარეთის სუპერთასზე ცესკასთან შეხვედრისას დაშავდა და თბილისში წამოსვლა ველარ შეძლო.

მართალია, თბილისშია „ლევსკის" ფრანგი მთავარმეგოლე ბორდონი, მაგრამ მას კლუბისგან სოლიდური ფულადი ჯარიმა აქვს გამოწერილი და იოლი მისახვედრია, როგორ ხასიათზეც იქნება. ბორდონის დასჯა ასევე ცესკასთან მატჩმა გამოიწვია — იმ შეხვედრაში ის უხეშობისთვის გააძევეს, რაც კლუბმა არ აპატია. მოკლედ, „ლევსკის" თანაქალაქელ ცესკასთან მატჩმა ავისა და შარის მეტი არაფერი მოუტანა: დაშავდა ერთ ფეხბურთელი, დაჯარიმდა მეორე, გუნდმა 120 წუთი ითამაშა, პენალტების სერიაში წააგო და თბილისსაც, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი ესტუმრა. თუმცა ბულგარელთა თავკაცს მაინც არაფერი აშინებს და ამბობს, საწუწუნო არაფერია და იმედი გვაქვს, „სიონთან" საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო.

სტანიმირ სტოილოვმა გუშინ „მიხეილ მესხზე" ჯერ პრესკონფერენცია გამართა, მოგვიანებით კი შეგირდებს მოედანზე შეუძლვა, დაახლოებით საათნახევარი ავარჯიშა და ჩანდა, რომ არც თუ ვად უნდა იყოს ურიგო ფორმაში...

— წინა სეზონში „ლევსკიმ" საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით ითამაშა და უფლება არ გვაქვს, წლეულს უარესი შედეგი ვაჩვენოთ. „სიონთან" ორბურთიანი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ შესაძლოა, ეს ანგარიში ნებისმიერ წუთს შეტრიალდეს. ამიტომაც „სიონთან" შეხვედრას მთელი სერიოზულობით უნდა მივუდგეთ.

— „ლევსკი", ანგარიშის მიუხედავად, დაცვითი ფეხბურთის თამაშს არ აპირებს და ხვალაც შეუტევს. ჩვენ ასეთ ფეხბურთს ვთამაშობთ.

— სუპერთასზე ცესკასთან 120 წუთი ვითამაშეთ, მაგრამ არა მგონია, ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ. თუმცა ფეხბურთელებს კიდევ დავაკვირდები, სუპერთასიდან ჯერ 48 საათიც არ გასულა.

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „სიონთან" ორი მატჩის საბოლოო შედეგია და არა კონკრეტულად ხვალინდელი ანგარიში. თუმცა, ცხადია, კარგი იქნება, თუ „სიონს" თბილისშიც მოვუგებთ, საამისოდ კი მთელი ძალით უნდა ვითამაშოთ, თორემ შესაძლოა, დავისაჯოთ.

— საკმაოდ ორგანიზებულ, ტაქტიკურად განსწავლულ და კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან გვაქვს საქმე და, თუ მოვდუნდით, შესაძლოა, ეს ჩვენთვის საბედისწერო გამოდგეს. სოფიის მატჩი კი, ვფიქრობ, „ლევსკიმ" უფრო გამოცდილების ხარჯზე მოიგო.

— „სიონთან" მატჩისას სოფიის სტადიონის ტრიბუნაზე რაც მოხდა, ეს ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის. ქომაგთა აგრესიულობის გამო უეფამ შარშანაც მკაცრად დაგვსაჯა და ახლაც, ალბათ, იგივე იქნება.

— სუპერთასზე წაგება ჩვენი გუნდისთვის, ალბათ, სტიმულად გამოდგება. არ ვფიქრობ, რომ ცესკას შემდეგ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად გატეხილები არიან. რაც უნდა იყოს, ცესკა და სუპერთასი უკვე ჩავლილი ამბავია, ახლა ჩვენი საფიქრალი მხოლოდ „სიონია".

...მოგვიანებით, უკანა გზაზე, სტოილოვმა ცხადაძეს ერთხელაც გახედა და ვარჯიშის მომლოდინე შეგირდებს შეუერთდა...

**კობა ინასარიძე**



დანიელ ბორიმიროვი





# დღეს: ამხანაგობა ხეტაფესთან

**გუშინ** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო ვარჯიში ჩაატარა ესპანურ „ხეტაფესთან“ ამხანაგურ მატჩამდე. შეხვედრა კი, შეგახსენებთ, დღეს, გერმანულ ქალაქ ბიტბურგში თბილისის დროით 21.30 საათზე დაიწყება.

ვარჯიშში გერმანიაში მყოფმა ყველა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ნაკრების სამწვრთნელო შტაბი — კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები და რალფ მინგე — ბიჭების მზადების დონით კმაყოფილი დარჩა. სასიამოვნოა ისიც, რომ გერმანელი მწვრთნელების განკარგულებაში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

შეგახსენებთ, რომ გერმანულ შეკრებაზე წინასწარგამოცხადებული შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელი ვერ გაემგზავრა — შოთა კაშია („დინამო“ თბილისი) ტრავმირებულია, რატი წინამძღვრიშვილი („ამერი“ თბილისი) და ნუკრი რევიშვილი („რუბინი“ რუსეთი) კი კლუბებმა არ გაათავისუფლეს.

**ქახა შალამბერიძე**

# ჩიხრაძის საქმე მთავრდება
## ბოლო ინსტანცია რუსული კავშირია

**მიიღებს** თუ არა ორმაგ მოქალაქეობას რუსული პრემიერლიგის „ნალჩიკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე, რათა მან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშოს? ამ საკითხის გადაწყვეტა დასასრულს უახლოვდება — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, „ნალჩიკი“ და ჩიხრაძე ერთ საბუთსლა ელიან, რითაც ფორმალურად ყველაფერი უნდა მოგვარდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩიხრაძის საკითხი უკვე მოაგვარა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, არც რუსეთის შესაბამისი სამინისტროები აბრკოლებენ საქმეს. მაგრამ რუსეთში ყოფილა პრეცედენტები, როცა რუსული გუნდების ფეხბურთელებს ორმაგი მოქალაქეობა მიუღიათ და რუსეთის საფეხბურთო კავშირს ამის გამო ამ ფეხბურთელების კლუბები ფინანსურად დაუსჯია. ჰოდა, ახლა ნალჩიკის „სპარტაკი“ რუსეთის საფეხბურთო კავშირისგან ელის დოკუმენტს, რომ თუ ჩიხრაძე ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს, ამით კლუბს არანაირი პრობლემა არ შეექმნება.

**დავით თავართქილაძე**

# ოლიმპი უთავკაცოდ დარჩა
## აკობია დინამოში წავიდა

**მოულოდნელი** ამბავი მოხდა ახალშექმნილ რუსთავის „ოლიმპში“ — გუშინ გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ.

„ოლიმპში“ გვითხრეს, რომ აკობიამ თავად ითხოვა წასვლა და კლუბმა მას ხელი არ შეუშალა. აკობია ახალ სამსახურში იმუშავებს — თბილისის „დინამოს“ მეორე გუნდის მწვრთნელი იქნება.

აკობია „დინამოში“ მანამდე კარგა ხანს იყო მთავარი მწვრთნელის ასისტენტი და რამდენიმე მატჩში მთავარი მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა. მას „დინამოში“ საბჭოთა კავშირის დროსაც უმუშავია მწვრთნელად და შეიძლება ითქვას, რომ ახლა მშობლიურ კლუბში ბრუნდება.

და ვინ უხელმძღვანელებს „ოლიმპს“? კლუბში საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

**დავით თავართქილაძე**

# ჭელიძე ექიმებს დაეხსნა



**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი ჭელიძემ ვარჯიში განაახლა და შესაძლოა, უახლოეს ხანში მოედანზეც გამოჩნდეს.

შეგახსენებთ, რომ ჭელიძემ ჯერ კიდევ მაისში დაიშავა ფეხი და მკურნალობის შემდეგ „ლოკომოტივსაც“ დაუბრუნდა, თუმცა ტკივილმა თავი ისევ შეახსენა და კვლავაც ექიმების ხელში აღმოჩნდა.

ახლა გიორგი უკეთაა, ნელ-ნელა დატვირთვებსაც უმატებს და დღე-დღეზე სრულყოფილ ვარჯიშსაც დაიწყებს.

**ქახა შალამბერიძე**

# 13-დან მხოლოდ დემეტრაძე

**უკრაინის** უმაღლესი ლიგის მეორე ტურში იქ მოთამაშე 13 ქართველი ლეგიონერიდან ათმა ითამაშა და უკრაინულმა „სპორტმა“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ჩვენებურთაგან მხოლოდ გიორგი დემეტრაძე შეიყვანა.

„სპორტი“ იუწყება, რომ პირველ ტურში პენალტის ვერგამტანმა დემეტრაძემ ამჯერად ალჩევსკის „სტალთან“ საკუთარი თავის რეაბილიტაცია ორი გოლით მოახერხა — დემეტრაძის „მეტალურგმა“ 2:1 მოიგო და ჩვენებურს ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა — I წრე, 1 ტური

ზოგადად, ყოველივე პირველი განსაკუთრებულია, თუმც მეთვრამეტე ეროვნულის პირველი ტური განსაკუთრებული არ გამოდგა — არც სენსაციური შედეგი ყოფილა და წარმტაცი თამაშითაც არავის გავუკვირვებივართ...

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 3:0 | ბორჯომი |
| დილა | 0:0 | ბათუმი |
| ზესტაფონი | 2:0 | ლოკომოტივი |
| ამერი | 2:0 | ჩიხურა |
| ტორპედო | 0:0 | ვიტ ჯორჯია |
| კახეთი | 0:1 | მერანი |

*სიონი – ოლიმპი გადაიდო*

# იუბილარი, წამსვლელი და ნაფრონტალები...



ბრაზილიელმა ამბროზიომ დაბადების დღე სამი ქულით აღნიშნა

ჟოსიმარ ლუიშ დომინგუშ ამბროზიოს „ბორჯომთან“ მატჩის დღეს იუბილე ჰქონდა — 26 წელი შეუსრულდა და დაბადების დღე გამარჯვებით დაიმშვენა. მაგრამ დამშვენდება ამ სეზონში ტიტულებით „დინამო“? ასე რომც მოხდეს, მაინც აქტუალური იქნება „დინამოს“ პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან კლუბის პოლიტიკაზე სასაუბროდ — „ბორჯომთან“ მატჩში „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელის ასაკი 21 წელს არ აღემატებოდა, ხოლო კახა კაჭარავა კვლავაც მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად ითვლება. ხუთი წელია, რაც „დინამო“ პატარკაციშვილმა შეიძინა და გუნდისთვის ახლა მთავარი ამოცანა ისაა, რომ წინა სეზონის დარად უტიტულოდ არ დარჩეს.

„დინამოში“ ათი სეზონი ითამაშა ირაკლი ზოიძემ და „ბორჯომთან“ მატჩის წინ ის ოფიციალურად დაემშვიდობა გუნდს და ფეხბურთელობას. ეროვნული ნაკრების მეკარეობისას კი ზოიძემ 19 კეპი მოიხვეჭა.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მერანმა“ თელავში „კახეთს“ მოუგო, მაგრამ ეს მოულოდნელობა სულაც არ ყოფილა — „კახეთი“ კლუბის ბიუჯეტის ვერგაზრდის გამო წინ ვერ წავიდა და „მერანიც“ დაახლოებით მისი შეძლების გუნდია, უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი ფეხბურთელები მასაც ჰყავს. მატჩის მიწურულს „მერანი“ კაცნაკლული დარჩა და შინ მოთამაშე კახელებმა ეს უპირატესობაც ვერ გამოიყენეს.

ორმხრივი კმაყოფილება იყო გორში — „დილაც“ და „ბათუმიც“ ფრით გულდაწყვეტილები არ ყოფილან. „დილას“ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობა ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე გადაწყდა საბოლოოდ, ხოლო „ბათუმიდან“ წინა სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელთა ბირთვი წავიდა და გუნდი, ფაქტობრივად, ხელახლა შეიქმნა.

ძალთა ბალანსს თუ გავითვალისწინებთ, ლოგიკური იყო „ზესტაფონის“ გამარჯვება „ლოკომოტივთან“ — „ზესტაფონის“ ახალი მთავარი მწვრთნელის მერაბ კოჭლაშვილის დებიუტი წარმატებული გამოდგა.

ტრავმის გამო წელიწადზე მეტი გაუცდა „ლოკომოტივის“ მეკარე დავით გვარამაძეს. ის 30 წლისაა და კვლავ ხელეწიფება, საინტერესო გახდეს ნაკრების მწვრთნელებისთვის — გვარამაძეს ეროვნულ გუნდში 28 მატჩი ჩაუტარებია. მან „ზესტაფონთან“ ორი ბურთი გაუშვა, მაგრამ რომ არ ეყოჩაღა, „ლოკომოტივს“ დიდი ანგარიშით მარცხი არ ასცდებოდა. ისიც საინტერესოა, რომ მეკარეთაგან ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი სწორედ გვარამაძეს უთამაშია.

ევროფრონტზე ქართული გუნდებიდან პირველი ეტაპის გადალახვა „ამერმა“ და „სიონმა“ შეძლეს. ბოლნისელები დღეს ბულგარეთის ჩემპიონს ეთამაშებიან და ამიტომაც გადაიდო პირველ ტურში მათი შეხვედრა რუსთავის „ოლიმპთან“. ამერელებმა კი დამაჯერებლად ითამაშეს საჩხერის „ჩიხურასთან“ და უეფას თასის სამეორეეტაპო მეტოქე ბერლინის „ჰერტას“ სკაუტ რუდი ვოიტოვიჩის მოწონებაც დაიმსახურეს. გლდანში ნასტუმრებ ვოიტოვიჩის ქათინაურები ვინძლო ბევრს არაფერს ნიშნავდეს, თუმც ფაქტია, რომ წლეულს ქართული კლუბები ჯერჯერობით ბეჩავად არ გამოიყურებიან ევროსარბიელზე და მათგან კვლავაც შეუპოვრობის იმედი გვაქვს.

მიუხედავად მარცხისა, შეუპოვრად ითამაშა წლევანდელ ევროფრონტზე „ვიტ ჯორჯიამაც“ და ქუთაისიდან ოდენ ქულით რომ დაბრუნდა, ეს ალბათ „ტორპედოსთვის“ უნდა ჩაითვალოს წარმატებად.

ეს მხოლოდ ერთი ტური იყო და ერთი მატჩით არც ერთი გუნდი არ ფასობს — თეთრი და შავი მერე და მერე უფრო კარგად გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტორპედო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ოლიმპი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბორჯომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### მომდევნო ტური

5 აგვისტო, შაბათი
ბათუმი – ამერი
6 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბორჯომი – ლოკომოტივი
მერანი – ზესტაფონი
ოლიმპი – კახეთი
ჩიხურა – ტორპედო
დინამო – დილა

### სიმბოლური ნაკრები

ბიძა გოცირიძე — *ზესტაფონი*
სულიკო დავითაშვილი — *ამერი*
ტიაგო — *ბათუმი*
ზაზა კარსანიძე — *მერანი*
შოთა გრიგალაშვილი — *დინამო*
გიორგი დეკანოსიძე — *ამერი*
გიორგი ნერგაძე — *დინამო*
კახა ჩხეტიანი — *ზესტაფონი*
შოთა კაშია — *დინამო*
თენგიზ უგრეხელიძე — *ტორპედო*
დავით გვარამაძე — *ლოკომოტივი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუვეს ბაზარი იკეტება



იგორ ტუდორი

## ვიეირა და მორჩა!

**ფაქტობრივად გადაწყდა პატრიკ ვიეირას მილანის „ინტერში“ გადასვლის საკითხი. იტალიური პრესის ცნობით, „ნეროაძური“ „იუვეს“ 7,8 მილიონ გირვანქას გადაუხდის, ხოლო 30 წლის ფრანგთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მას სეზონში 3,2 მილიონ გირვანქას ჩაუჯიბავს. ვიეირას მედიას ოფიციალურად მომავალი კვირის დასაწყისში წარუდგენენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ლონდონის „არსენალის“ ყოფილ ნახევარმცველს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის რეალური შანსიც აქვს. ამ ვერსიას ვიეირას ცოტა ხნის წინანდელი განცხადებაც ამყარებს.**



პატრიკ ვიეირა

პატრიკ ვიეირა: „ყველას სურს ისეთ კლუბში თამაში, როგორიც „მანჩესტერია“. „არსენალში“ გატარებული ცხრა წლის მერე, ეს ცოტა რთული წარმოსადგენია, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ამჟამად ჯერ კიდევ არ ვიცი, სად ვითამაშებ მომავალ სეზონში. ისევ ახალი გუნდის ძიებაში ვარ. შესაძლოა, ეს მომავალ 2-3 დღეში გაირკვეს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მომიწევს.“

„იუვენტუსის“ დირექტორმა ჟან -კლოდ ბლანმა კი განაცხადა: „პატრიკ ვიეირას „ინტერში“ გადასვლით ფეხბურთელების გაყიდვას დავასრულებთ. ყველაფერი მოლაპარაკებული და გადაწყვეტილია, მაგრამ მეტ მოთამაშეს აღარ გავუშვებთ. დავიდ ტრეზეგე და ზლატან იბრაჰიმოვიჩი გუნდში რჩებიან“.

ტურინის „იუვენტუსმა“, ფლორენციის „ფიორენტინამ“ და რომის „ლაციომ“ კალჩოპოლის განაჩენი ოლიმპიურ კომიტეტში გაასაჩივრეს და ახლა მისი იმედი აქვთ. „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ მომავალი სეზონი „იუვეს“ სერია A-ში უნდა დააწყებინონ, ხოლო თუ B-ში დატოვეს, ეს ყოველგვარი მინუს ქულების გარეშე უნდა მოხდეს.

„ძალიან დიდი განსხვავებაა ჩვენსა და სხვა კლუბების სასჯელებს შორის. „მილანი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“ სერია A-ში დატოვეს, ხოლო „იუვე“ სერია B-ში დააქვეითეს, თანაც მინუს 17 ქულით. ეს არალოგიკურია. შესაძლოა, გარკვეულ სასჯელს ვიმსახურებდით, მაგრამ არა ასეთ მკაცრს. როგორც ქომაგი, ვისურვებდი, სერია A-ში დავებრუნებინეთ, მაგრამ სერია B-ში დატოვებასაც დავთანხმდებით, თუ მინუს ქულები გარეშე დაგვაწყებინებენ სეზონს. საბედნიეროდ, სერია C-ში არ გვიკრეს თავი. ეს კოშმარი იქნებოდა და ეგებ გუნდიც განადგურებულიყო“ — განაცხადა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის“ მმართველმა სხვა თემებზეც ისაუბრა. არასწორად მიაჩნია, გასული სეზონის სკუდეტო „ინტერს“ რომ გადაეცა, ხოლო გუნდის ახალ მწვრთნელ დიდიე დეშანით კმაყოფილია.

კობოლი ჯილი: „ვინ გამოაცხადეს გასული სეზონის ჩემპიონად, მართლაც, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სკუდეტო მინდორზე უნდა მოიგო. ისიც არასამართლიანად მეჩვენება, რომ ჩვენი ასე მკაცრად დასჯის ფონზე, „მილანს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მისცეს. რაც შეეხება გუნდის მწვრთნელს, იმედი მქონდა, რომ ფაბიო კაპელო დარჩებოდა, მაგრამ დიდიე დეშანით ძალიან კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, იგი ისე შთამბეჭდავად მუშაობს, რომ ჩვენი ნდობა და მოლოდინი უკვე გაამართლა“.

„იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ კლუბი, ფაქტობრივად, არავის გაყიდვას აღარ აპირებს. აქცენტი ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ჯანლუიჯი ბუფონზე გაკეთდა. პირველი გადაჭრით ამბობს, სერია B-ში თამაში არ მინდა და გამიშვითო, ხოლო მეორეს „მილანი“ არ ეშვება.

„იბრაჰიმოვიჩი ძალიან ახალგაზრდაა და კიდევ დიდი პოტენციალი აქვს. მან უნდა გაიგოს, რომ სერია B-ში გატარებულ ერთ წელიწადში, შესაძლოა, დამატებითი სტიმული და სასარგებლო გამოცდილება მიიღოს. ბუფონთან კი პირადად ამ თემაზე არ მისაუბრია, მაგრამ მან თქვა, რომ რჩება და ჯიჯის სიტყვას ფასი აქვს. ცხადია, ეს ძალიან გვიხარია“ — დასძინა ჯილიმ

ტურინელთა ხორვატ მცველ იგორ ტუდორს კი მინუს 17 ქულაც არ აშინებს და თვლის, რომ „ბებერ ქალბატონს“ სერია A-ში მყისვე დაბრუნება არ გაუჭირდება.

„ვფიქრობ, სერია B-ში მხოლოდ ერთი სეზონის გატარება მოგვიწევს. ამ შემადგენლობით, მიუხედავად იმისა, რომ მინუს 17 ქულით ვითამაშებთ, პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა არ გაგვირთულდება. თუმც მეტ წამყვან მოთამაშეს არ უნდა შეველიოთ. კლუბმა უკვე აღნიშნა, რომ აღარავინ წავა და საფუძველი არ მაქვს, ამას არ დავუჯერო. პირადად მე ძალიან მეამაყება, რომ „იუვენტუსის“ ფეხბურთელი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმსახურო. ასევე იმედი მაქვს, რომ ფანები, რომლებიც ახლა ამ მძიმე დროს გვერდით გვიდგანან, მთელი სეზონის მანძილზე არ მიგვატოვებენ. ამით მათთან კიდევ უფრო ახლო და თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდება“ — თქვა 28 წლის მცველმა.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში ტუდორი „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა. გასულ სეზონში კი „სიენაში“ იყო განათხოვრებული. მას თამაში ნახევარდაცვაშიც შეუძლია, მაგრამ დაცვის ცენტრს ამჯობინებს.

იგორ ტუდორი: „ძალიან სასიამოვნო იყო „იუვეში“ დაბრუნება და ძველი მეგობრების ნახვა. ზოგი მათგანი წავიდა, მაგრამ ბევრი ისევ კლუბშია. რაც შეეხება ჩემს ამპლუას, უკვეველაპარაკე მწვრთნელს და შევთანხმდით, რომ დაცვის ცენტრში ვითამაშებ. ჩემი აზრით, ამ პოზიციაზე საუკეთესოდ ვირჯები.“

**გიორგი ქაქაბაძე**

# დიდი ადამიანის წასვლის დრო



**ვეტერანი** იტალიელი ნახევარმცველის, დამიანო ტომაზის ესპანურ „ლევანტეში“ გადასვლის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა. 32 წლის ფეხბურთელმა ვალენსიელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან „რომა“ რამდენიმე კვირის წინ დატოვა. „სტადიო ოლიმპიკოზე“ გატარებული 10 წლის მერე იგი თავის ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა.

„რომას“ ატმოსფერო აღარ მაკმაყოფილებდა. ხელმძღვანელობას რამდენიმე ფეხბურთელთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და პირადი ურთიერთობის გამო მათ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ყოველთვის გარანტირებული ჰქონდათ. მივხვდი, რომ ჩემი წასვლის დრო იყო“ — განაცხადა ტომაზიმ.

„ლევანტემ“ ეს ტრანსფერი დაახლოებით ორი კვირის წინ გახმაურა, მაგრამ ტომაზიმ მაშინ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა, მოსაფიქრებლად დრო კიდევ მჭირდებაო. მას სხვა კლუბებისგანაც ჰქონდა შეთავაზება, მათ შორის მშობლიური „ვერონასგან“.

დამიანო ტომაზი: „ჩემი „ლევანტეში“ გადასვლა კარიერასა და ცხოვრებაში ახალი თავგადასავლის დაწყებას ნიშნავს. იმედია, გუნდს უპრობლემოდ შევეწყობი და ისეთ მაღალი დონის ჩემპიონატს მოვერგები, როგორიც პრიმერადივიზიონია. გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია, ოჯახის დარწმუნებაც მომიხდა, მაგრამ დიდი მოტივაცია და სტიმული მქონდა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა“.

იტალიის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს, გარდა იმისა, რომ მაღალი კლასის მუშა ფეხბურთელია, ყველა კარგ, კეთილ ადამიანად იცნობს. ამიტომ „ლევანტეს“ მენეჯერმა პრესისთვის გამართულ შეხვედრაზე იგი წარადგინა, როგორც დიდი ფეხბურთელი და დიდი ადამიანი“.

პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „ლევანტე“ ტომაზამდე, ლორენ რობერით, ფრედერიკ დეუთი და ალვაროთი გაძლიერდა.

**ბოკი ბანდელაკი**

# აჰმედი დაბრუნდა



**ეგვიპტელი** ფორვარდი აჰმედ ჰოსამ მიდო „რომაში“ დაბრუნდა. იგი გასული სეზონის მეორე ნახევარში „ტოტენჰემში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ იტალიური კლუბი „ბლექბერნში“ მის გაყიდვას აპირებდა. 23 წლის ფეხბურთელმა „ივუდ პარკზე“ გადასვლა არ ისურვა, „რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი კი მის დაბრუნებას დათანხმდა, გამომადგებაო.

მიდო „ჯალოროსის“ გასულ კვირაში შეუერთდა და „პორტუსთან“ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა. იგი მინდორზე მე-60 წუთზე შევიდა და საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. ის შეხვედრა „რომამ“ 0:1 წააგო, ფილიპ მექსემმა საკუთარ კარში შეაგდო.

„ძალიან მიხარია, რომ „რომაში“ ადგილის დამკვიდრების მეორე შანსი მეძლევა. „ბლექბერნის“ წინადადება საკმაოდ სარფიანი იყო, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ეს კლუბი, ეს ქალაქი მომწონს. ძირითადი შემადგენლობისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებ.გუნდი 2005 წლის იანვარში დავტოვე და მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. სპალეტი ძალიან კარგი მწვრთნელია და ფეხბურთელებს ბევრს ელაპარაკება. მან მითხრა, რომ ყველა მოთამაშეს გულდასმით აკვირდება და ყოველდღიურად აფასებს“ — აღნიშნა მიდომ.

ლუჩანო სპალეტი: „მიდო ძალიან მომწონს. სწორედ მისი თვისებების მქონე ფეხბურთელს ვეძებდით. იგი დაახლოებით ერთი კვირაა, გუნდშია და თავდაუზოგავად ვარჯიშობს. მასზე დაკვირვებას გავაგრძელებ“.

**ბოკი ბანდელაკი**

# იყიდეთ რონალდინიო 125 მილიონად



„შესანიშნავი ამბავი: „მილანი“ რონალდინიოს ყიდვას ცდილობს. საამისოდ 100 მილიონი ევრო უკვე გამზადებულია“ — კვირას იტალიურ „კორიერე დელო სპორტს“ ამგვარი სათაური ენთო თავფურცელზე. აპენინური პრესა კიჟა ბრაზილიელის „მილანში“ გადასვლის შესაძლებლობებს სერიოზულად განიხილავს.

საქმე ის გახლავთ, რომ რახან მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალს და სასამართლოს „როსონერი“ სხვებთან შედარებით იოლად გადაურჩა („იუვე“ სერია B-ში ჩაძირეს, ხოლო „მილანი“ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებას ელის), იქაური თავკაცობა გუნდის ახალი ვარსკვლავებით გაძლიერებას ცდილობს. სანქციებისა და შევჩენკოს გაქცევის მიუხედავად, იტალიური გრანდი ყველა შინაური და ევროპული ჯილდოსთვის ბრძოლას აპირებს.

აპენინელთა მთავარი მიზანი რონალდინიო ყოფილა. „მილანის“ პატრონ სილვიო ბერლუსკონის უთქვამს მედიასთან — ბარსელონელი რონი ჩვენი გუნდისთვის იდეალური ტრანსფერი იქნებაო.

ბერლუსკონის და მისი გუნდის სატრანსფერო ზრახვა ფანტასტიკური ჩანს — გაგანია საარჩევნო პერიოდში ჩაფლული „ბარსა“, თუ რალაც სასწაული არ მოხდა, თავის უპირველეს ვარსკვლავს არ გაასხვისებს, რამდენი მილიონიც უნდა შესთავაზონ. თან არ დაგავიწყდეთ, რომ „კამპ ნოუს“ ახლა დროებითი დირექტორატი ჰყავს ხავიერ ზალა ი მარტინის მეთაურობით, რომელსაც მარტო არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ხელეწიფება, ტრანსფერების ამბავში ჩარევას კი კანონი უკრძალავს.

თუმცა, როცა 3 სექტემბერს „კამპ ნოუზე“ ახალ პრეზიდენტს აირჩევენ, ოფიციალურ დირექტორატს სრული უფლება ექნება, რონალდინიო გაყიდოს — ოღონდ, საეჭვოა, ამის სურვილი გაუჩნდეთ...

„ბარსა“ და მთელი კატალონიური ინჩადა, რონალდინიოს „კამპ ნოუს“ საუკეთესო მოთამაშედ და მსოფლიოში კლუბის სახედ მიიჩნევს. ამიტომაც არის კიჟა ტრანსფერგარეშე. ერთადერთმა რალაცამ შეიძლება კიჟა „ბარსელონას“ მოწყვიტოს და „სან სიროზე“ გადაისროლოს. თუ იტალიელები ბრაზილიელის „ბარსასთან“ კონტრაქტის ანულირების თანხას, 125 მილიონ ევროს გადაიხდიან. შეიძლება, „მილანი“ ამ ავანტიურაზეც წავიდეს, მაგრამ თავად მოთამაშის სურვილს ვერავინ აღუდგება წინ — უილბლო მუნდიალის შემდეგ რონალდინიოს უპირველესი მიზანი საკლუბო დონეზე თავისი პირველობის დამტკიცებაა, ხოლო „ბრაზილენიოს“ საყვარელი კლუბი, სწორედ „ბარსელონა“ გახლავთ.

**ლადო ხომერიკი**



# ინეზეთ სავიოლა

„ბარსელონას“ ტექნიკურმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა, „რადიო მარკასთან“ ინტერვიუში დაადასტურა, რომ კატალონიურმა გრანდმა სანტანდერის „რასინგს“ ხავიერ სავიოლას წაყვანა შესთავაზა ერთწლიანი იჯარით. „რასინგის წარმომადგენლებს უკვე მოველაპარაკეთ. გვინდა, სავიოლასთან დაკავშირებული გაუგებრობა მალე დამთავრდეს. ახლა, მთავარია თავად ფეხბურთელი რას იტყვის“ — თქვა ბეგირისტაინმა.

არგენტინელი სავიოლა, რომელიც გასულ სეზონში „სევილიას“ მაისურით უეფას თასის მფლობელი გახდა, მრავალ ევროპულ კლუბს სურს. „ბაჭიას“ ხელში ჩაგდებაზე ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფავორიტი გერმანული „ჰამბურგი“ გახლავთ. სავიოლას სიტუაცია კი, როგორც პატივცემულ დირექტორი ბრძანებს, ჯერჯერობით, მართლაც, გაურკვეველია — ხავიერი „ბარსასთან“ ერთად ვარჯიშობს, თუმც არც ამხანაგურ და არც ოფიციალურ მატჩებში მინდორზე ერთი წუთითაც არ გამოყავთ. ახლა ან „რასინგი“, ან — „ჰამბურგი“...

**ლადო ხომერიკი**



ჟორჟინიო

# მარჯვენა მცველი მარჯვენა ხელად

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მარჯვენა მცველი ჟორჟინიო კარლოს დუნგას თანაშემწედ დანიშნეს. დუნგამ კი, მოგეხსენებათ, გასულ კვირას კარლოს ალბერტო პარეირა შეცვალა.

ჟორჟინიომ, რომელსაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე უთამაშია, განაცხადა: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დებიუტანტი ვარ. ბრაზილიის ნაკრებში მუშაობა ხომ ნებისმიერის ოცნებაა“.

ჟორჟინიოს სრული სახელია ჟორჟე ამორიმ დე ოლივეირა კამპოსი. მას ნაკრების მაისურა 64-ჯერ მოურგია. საკლუბო კარიერაში კი მოვლილი აქვს „ფლამენგო“, „სან პაულუ“, „ვასკუ და გამა“ ბრაზილიაში, „ლევერკუზენი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ გერმანიაში და „კაშიმა ანტლერზი“ იაპონიაში. ამ წლის დასაწყისში ცოტა ხანს მუშაობდა მწვრთნელად რიო დე ჟანეიროს „ამერიკაში“.

კარლოს დუნგას დებიუტი 16 აგვისტოს ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩში შედგება. მას შემადგენლობა გუშინ უნდა დაესახელებინა და ვარაუდობდნენ, რომ უმეტესად ბრაზილიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს უხმობდა.

**გიორგი დარჯანია**

# რონალდო ბურთს გაეცნო

## რობერტო კარლოსის წასვლა სისულელეა



მადრიდის „რეალს“ სამომავალსეზონოდ გუნდის გაძლიერება სურს და „ბერნაბეუზე“ ახალი ნახევარმცველების მისვლასაც არ გამორიცხავს. ამჟამად სამეფო თეთრების სატრანსფერო სამიზნეზე იტალიური „რომას“ და „სკუადრა ატურას“ ფეხბურთელი დანიელე დე როსი იმყოფება. ესპანური „მარკას“ ცნობით, „რეალის“ წარმომადგენლები რომაელებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, თუმცა იტალიელთა მხარე დე როსის კლუბიდან წასვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. „გუნდის ერთ-ერთი მთავარი ძალის დაკარგვა „რომას“ გეგმებში არ შედის. კლუბის უფროსობა დე როსის „რეალში“ გადაბარგების წინააღმდეგია“ — ვკითხულობთ იტალიურ „ლა გაძეტა დელო სპორტში“.

„ბერნაბეუზე“ კარიერის გაგრძელებაზე უარი თქვა აგრეთვე არსენალელმა სესკ ფაბრეგასმაც. კატალონიელი „რეალის“ შემოთავაზებით კმაყოფილია, თუმცა ესპანეთში დაბრუნებას, „მეთოფეებთან“ მინიმუმ ერთი სეზონით დარჩენას არჩევს.

„არსენალის“ მწვრთნელი ვენგერი და პრეზიდენტი დევიდ დინი სესკს გუნდის მნიშვნელოვან მოთამაშედ მიიჩნევენ და ექსბარსელონელის „რეალში“ გადასვლა ალბათ არარეალურია — მადრიდში არც ფაბრეგასს უნდა წასვლა და „არსენალის“ თავკაცნიც მისი დარჩენის მომხრენი არიან.

ესპანეთის სატახტოდან ფეხის მოცვლას არ აპირებს რობერტო კარლოსი. თურქულ „ფენერბაჰჩეში“ მისი გადასვლა თითქოს გადაწყვეტილი იყო, მედიამ სტამბოლში ბრაზილიელის ოფიციალურად წარდგენის ვადაც (31 ივლისი) დაასახელა, მაგრამ 33 წლის ვეტერანმა მცველმა გადაწყვეტილება ბოლო წამს შეცვალა.

„რეალში“ დარჩენას ვაპირებ. კაპელოსთან ერთად მუშაობა მსურს. „ბერნაბეუზე“ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა და სისულელე იქნება, რომ კლუბი ახლა მივატოვო“ — უთხრა რობერტომ მადრიდულ „ასს“. რობერტო კარლოსი „რეალში“ 1996 წლიდან თამაშობს, პრიმერაში 347, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე 97 მატჩი ჩაუტარებია. ესპანეთის ჩემპიონატში ბრაზილიელმა 44, ლიგაზე კი 15 გოლი შეაგდო.

სხვა მადრიდული ამბებიდან რონალდოს ბურთთან დაბრუნებაა აღსანიშნავი. რონიმ ბრაზილიაში მარცხენა ფეხის წვივზე ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც გარკვეული ხნით იძულებული გახდა ბურთს და მოედანს ჩამოშორებოდა. 15 ივლისის ოპერაციის შემდეგ ექიმები რონალდოს სამკვირიან იძულებით შესვენებას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმც სახელგანთქმულმა ფორვარდმა გუშინ ვალდებებას საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა და იმედი გამოთქვა, რომ მალე „რეალის“ სხვა ფეხბურთელებთან ერთად წვრთნასა და თამაშს სრულფასოვნად მოახერხებს. „აი, ნახავთ, ფორმაში ძალიან მალე ჩავდგები“ — აღუთქვა რონიმ მედიას.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოკო ბაზილე იქაც და აქაც



ალფიო ბაზილე (მარცხნივ) ნაკრებშიც იმუშავებს და კლუბშიც

„ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი ალფიო ბაზილე არგენტინის ნაკრების დამრიგებელი გახდა, თუმცა „ბოკას“ თავკაცობასაც სექტემბრამდე შეინარჩუნებს. „ბაზილე ნაკრებსაც გაუძლვება და ჩვენს მწვრთნელადაც დარჩება სექტემბრამდე“ — განაცხადა არგენტინული კლუბის პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ.

„ალბისელტეს“ ახალი მწვრთნელი „ბოკა ხუნიორსთან“ კავშირს 2006 წლის სექტემბერში გაწყვეტს, ანუ მაშინ, როცა არგენტინული გუნდი „სან პაულუსთან“ სამხრეთ ამერიკის თასის საპასუხო მატჩს გამართავს. 2 სექტემბერს კი სენიორ ბაზილე არგენტინის ნაკრებს პირველ მატჩში უთაოსნებს, — პატაგონიელები ძალებს თურქებთან მოსინჯავენ.

„ორმაგი დატვირთვით ვიმუშავებ“ — ღიმილით უთხრა ბაზილემ მედიას. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ნაკრებში კვლავ დაბრუნება ძალიან ეამაყება.

„კოკო“ ბაზილე ერთხელ უკვე იყო „ალბისელესტეს“ დამრიგებელი. 1990-94 წლებში ამ სპეციალისტმა არგენტინას ორჯერ კოპა ამერიკა მოაგებინა, მაგრამ 1994 წლის მუნდიალზე, მერვედფინალში გავარდნამ და მარადონას დოპინგსკანდალში გახვევამ, ალფიო ბაზილეს ეროვნული გუნდიდან წასვლა დააჩქარა.

ამრიგად, პატაგონიელთა მთავარ გუნდს ძველი თავკაცი უბრუნდება, „ბოკას“ საქმე კი ჯერჯერობით ბურუსითაა დაფარული. ნაკრების ექსმწვრთნელმა მარსელო ბიელსამ, „ველეს სარსფილდის“ თავკაცმა მიგელ ანხელ რუსომ, დიეგო მარადონამ და პარაგვაული „ლიბერტადის“ დამრიგებელმა ხერარდო მარტინომ, მაურისიო მაკრის „ბოკას“ მწვრთნელობაზე უარი უთხრეს.

„ლა ბონბონერას“ გუნდის დამრიგებლად ახლა მექსიკის ნაკრების ექსმწვრთნელი, არგენტინელი რიკარდო და ვოლპე მოიაზრება. ისიც, ჯერ მაცალეთო, ამბობს. „არც „ბოკას“ ფეხბურთელებს ვიცნობ და არც არგენტინულ საფეხბურთო სამყაროს. სამშობლოდან 26 წლის წინ წავედი. სიტუაციის გასაცნობად დრო დამჭირდება“ — ამბობს რიკარდო ლა ვოლპე.

**ლადო ხომერიკი**



# დღე პირველი

**სტივ მაკლარენი** ახალ სამსახურში მივიდა. პირველივე დღეს ინგლისი ნაკრების მენეჯერმა გამოაცხადა, რომ მისი გუნდი „სრულიად განსხვავებული“ იქნება.

„ჩემს გზას ვადგავარ —თქვა მაკლარენმა — დიდ გამოწვევაზე მივდივარ. ეს ამაღელვებელი და საინტერესოა. წინ დიდი თავგადასავალი გველის“.

ინგლისელ ფანთა უმრავლესობის არც ერთი გამოკითხვით, მაკლარენი არ არის ის კაცი, რომელსაც ნაკრები უნდა მიელო. იმ თვეებში, ხალხი მიიჩნევდა, რომ ნაკრების მეთაურად ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი უფრო გამოდგებოდა.

რაც მოხდა, მოხდა. „ბოროს“ თავკაცი, ფეხბურთელთა ახლო მეგობარი და ერიკსონის მარჯვენა ხელი, მენეჯერად შეიქნა.

ასოციაციის შეფმა ბრაიან ბერვიკმა კი თქვა: „ახალი ფურცელი გადავშალეთ. სტივი დღეს შეუდგა მუშაობას. მისი პირველი ნაბიჯი კაპიტნის დანიშვნა იქნება“.

ბექემი გადადგა და სამკლაური ან ჯონ ტერის, ანაც სტივენ ჯერარდს უნდა ერგოს.

მარჯვენა ხელად მაკლარენს ტერი ვენეიბლზი ეყოლება, მარცხენად — ალან შირერი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კაპიტნობიდან პრეზიდენტობამდე



ფერნანდო სანსი

**მადრიდის** „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტი ლორენსო სანსი ესპანური „მალაგას“ ოფიციალური მფლობელი გახდა. „მალაგა“ საამსეზონოდ ესპანეთის სეგუნდადივიზიონში ითამაშებს, ხოლო კლუბის პრეზიდენტი ლორენცო სანსის ვაჟი ფერნანდო იქნება.

კვირას მადრიდში სენიორ სანსი (უფროსი) „მალაგას“ აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ სერაფინ როლდანს შეხვდა და მისგან გუნდის აქციათა 96 პროცენტი იყიდა. ლორენცომ სააქციო პაკეტში 6 მილიონი ევრო გადაიხადა, ხოლო „მალაგას“ ოცდაათმილიონიან ვალს, ახალი მფლობელი მევალეებს უახლოეს ხანში გაუსწორებს.

ფერნანდო სანსმა კი ფეხბურთელის კარიერა ჰალსტუხზე გაცვალა. ლორენსო სანსის მემკვიდრე აქამდე „მალაგას“ კაპიტანი გახლდათ, ამიერიდან კი პრეზიდენტია.

„კლუბი საიმედო ხალხს ჩავაბარე“ — შვებით ამოისუნთქა და კმაყოფილებით განაცხადა სერაფინ როლდანმა.

**ლადო ხომერიკი**



გაბრიელ ჰაინცე კრიშტიანუ რონალდუს დაასეირნებს

# ბენიტესის სიახლე: მეკარე უტევს

„**ლივერპულის**“ მეკარე „პეპე“ რეინამ თქვა, „კაიზერსლაუტერნთან“ ამხანაგურ მატჩში მეტოქის მცველებს რომ არ წავექციე, გოლს გავიტანდიო. პეპე „კაიზერთან“ უჩვეულო პოზიციაზე, ნახევარდაცვაში თამაშობდა და მისმა გუნდმა 2:3 წააგო.

ლიხტენშტაინში გამართული მატჩის მეორე ტაიმში „ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი, იძულებული გახდა, ტრავმირებულების — ლუის გარსიასა და ფაბიო აურელიოს ნაცვლად, მოედანზე ცოტა ხნის წინ შეცვლილი რობი ფაულერი და... მეკარე „პეპე“ რეინა შეეყვანა.

„ეს ერთადერთი გამოსავალი გახლდათ. ჩვენ მოედანზე მარტო 9 ფეხბურთელი გვყავდა და, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარდაცვაში მეკარის ხილვა უჩვეულოა, მე ამის გაკეთება მომიხდა“ — უთხრა რეინამ მოგვიანებით ჟურნალისტებს.

მეკარე აცხადებს, რომ წამითაც არ შეყოყმანებულა, როცა რაფა ბენიტესმა მოედანზე გასვლა და ცენტრში თამაში სთხოვა. თუმცა გოლკიპერს თამაშში ახალი როლის მორგება გვარიანად გასჭირვებია: „რაფამ მკითხა, გუნდის დასახმარებლად ნახევარმცველობა რომ გეკისრა, პრობლემა ხომ არ შეგექმნებაო. მე მწვრთნელი დავამშვიდე და მოედანზე გავედი, თუმცა, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი ძნელი იყო ფეხბურთელობა... თუ ამხანაგურ თამაშში ამდენი სირბილია საჭირო, წარმოიდგინეთ, ოფიციალურ მატჩებში რა მოხდება...“

რეინას თურმე გატანა და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ: „იმ ეპიზოდში მცველებმა მიბიძგეს, რაც მსაჯს არ შეუმჩნევია. ეს რომ არა, აუცილებლად გოლს შევაგდებდი.“

მედიასთან შეხვედრის დასასრულ, რეინა კორესპონდენტებს შეეხვეწა — გაფუჭებული საგოლე მომენტის გამო ძალიან ნუ გამაკრიტიკებთ, არ დაგავიწყდეთ, თავდამსხმელი კი არა, ერთი „საწყალი“ მეკარე ვარ...

**ლადო ხომერიკი**



ხოსე რეინა

# დაცვა კრიშტიანუსთვის

**ამ კვირაში** „მანჩესტერი“ „ოქსფორდ იუნაიტედს“ სტუმრობს და როგორც საქართველოში იტყვიან, ამ თამაშზე დაცვის უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული.

მსოფლიოს თასზე უეინ რუნისთან მომხდარი უთანხმოების შემდეგ, ინგლისურ მინდორზე პირველად ითამაშებს კრიშტიანუ რონალდუ. რუნის და რონალდუს გასაყოფი არაფერი აქვთ და კლუბიც გვარიანად ეფერება თავის პორტუგალიელს, მაგრამ მილიონობით ინგლისელ ფანს მიაჩნია, რომ რონალდუმ დიდი წილი დაიდო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში რუნის გაძევების საქმეში. კონფერენცლიგის „ოქსფორდის“ „კასამ სტადიუმზე“ გაყიდულია 6 500 ბილეთი, მაგრამ ყველამ იცის, რომ დარჩენილი 3 500-იც მსწრაფლ გაიყიდება, თუკი მთელი ინგლისის დაბოღმილი ფანობა შეიტყობს, რომ ამ სავარჯიშო თამაშში რონალდუც გამოჩნდება.

„ოქსფორდის“ მდივანი მიკ ბრაუნი ამბობს, რომ დაცვა განსაკუთრებული იქნება და რონალდოს არ უნდა ეშინოდეს.

მანამდე კი „მანჩესტერი“ აგრძელებს სავარჯიშო თამაშების სერიას: „მაკლსფილდს“ 2:1 მოუგო და ერთი გოლი რუნიმ გაიტანა, მეორე კი ახალბედა ფრეზერ კემპბელმა. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერს“ რუნივე კაპიტნობდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ოთხწლიანი ბუბაკარი

**მეორე** ბუნდესლიგაში გავარდნილი „კაიზერსლაუტერნის“ ფორვარდი ბუბაკარ სანოგო „ჰამბურგში“ გადავიდა. ამის შესახებ ოფიციალურად ჰამბურგელებმა განაცხადეს, რომლებმაც ოთხი მილიონი ევრო გადაუხადეს „ლაუტერნს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ. 23 წლის სანოგო, სავარაუდოდ, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს მას შემდეგ, რაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

კოტდივუარელმა თავდამსხმელმა წინა სეზონში 24 მატჩი ითამაშა და ათი გოლი გაიტანა, მერე კი ტრავმა მიიღო და ველარ დაეხმარა „ლაუტერნს“. „ჰამბურგს“, რომელმაც სერგი ბარბარესი „ლევერკუზენს“ მიჰყიდა, ფორვარდი სჭირდებოდა და იპოვა კიდეც. შეგახსენებთ, რომ ჰამბურგელებს მილან ბაროშის ან ხავიერ სავიოლას ყიდვა სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

მწვრთნელმა თომას დოლმა კი განაცხადა: „მოხარული ვარ, სანოგო რომ ვიყიდეთ. ის ძლიერი თავდამსხმელია, თავით კარგად თამაშობს და ჩემპიონთა ლიგაშიც და ბუნდესლიგაშიც ძალიან დაგვეხმარება“.

**ირაკლი ნინიძე**



# წიხლი სკამს

**მსოფლიო** ჩემპიონატის ბრინჯაოსანი დავიდ ოდონკორი შვებულებიდან დაბრუნდა დორტმუნდის „ბორუსიაში“ და ძირითად შემადგენლობაში ადგილს ითხოვს.

ოდონკორი იურგენ კლინსმანმა შეიყვანა გერმანიის ნაკრებში და ამით მთელი ქვეყანა გააოცა, მერე კი, როცა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო, ოდონკორმა გააოცა მთელი გერმანია. კლინსმანი მას შეცვლებზე ათამაშებდა და ბორუსიელიც მარჯვენა ფლანგზე საუცხოოდ ირჯებოდა.

ახლა კი, გუნდში დაბრუნებულს და სახელგანთქმულს, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ სურს. „თუკი კვლავაც სათადარიგოებში დამტოვებენ, ჩემს აგენტს ვეტყვი, რომ სხვა კლუბი მომიძებნოს“ — განაცხადა მან.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ კი ამ ზაფხულს შვეიცარიელი ალექსანდრ ფრეი და პარაგვაელი ნელსონ ვალდესი შეიძინა, რამაც შესაძლოა, ოდონკორი ისევ სკამზე დატოვოს.

**ირაკლი ნინიძე**

# საგანგებო ნომერი

**პორტუგალიელმა** ფორვარდმა რიკარდუ სა პინტუმ ლიეჟის „სტანდარდთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 33 წლის მეგოლეს პორტუგალიის ნაკრებში 45-ჯერ უთამაშია და წინა სეზონის დამთავრების შემდეგ კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა. თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა და კიდევ ერთი წლით დარჩა ფეხბურთში. რიკარდუ სა პინტუ „სტანდარდში“ 76-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. მისი დებიუტი მომავალ პარასკევს შედგება.

„საგანგებო ნომერი გამორჩეული ფეხბურთელისთვის“ — განაცხადა კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა მეკარე მიშელ პრიუდომმა.

სა პინტუმ კარიერა პორტუგალიურ „სალგეიროუში“ დაიწყო, საიდანაც ლისაბონის „სპორტინგში“ გადავიდა, შემდეგ კი სან სებასტიანის „სოსიედადში“ აღმოჩნდა. 2000-ში ლისაბონში დაბრუნდა და ექვსი სეზონი იქ გაატარა.

„სტანდარდმა“, რომელიც წინა სეზონში მეორე ადგილზე გავიდა, ეს ჩემპიონატი „ლოკერენთან“ მარცხით დაიწყო, მომავალ პარასკევს კი „შარლერუას“ ხვდება.

**გიორგი დარჯანია**




# ონილი ვილაში

**ბრიტანული** პრესის ცნობით, თითქმის გადაწყდა, რომ ბირმინგემის „ასტონ ვილას“ ახალი მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი იქნება. როგორც იცით, ეს პოსტი ვაკანტურია, ორი კვირის წინ კლუბიდან დევიდ ოლირის წასვლის შემდეგ.

ონილი კი ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ და წარმატებულ მწვრთნელად ითვლება. „სელტიკიდან“ წასვლის შემდეგ იგი უკვე საკმაო ხანია, რაც უმუშევარია და ფეხბურთში დაბრუნება სურს. აქამდე ირლანდიელის სახელს ინგლისის ნაკრებს, „მიდლსბროს“ „ნიუკასლსა“ და „სანდერლენდს“ უკავშირებდნენ.

„ასტონ ვილას“ ახლანდელ მმართველ დუგ ელისს ონილისადმი დიდი სიმპათიები ჰქონია და სურს, კლუბი მას ჩააბაროს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ელისი შესაძლოა, მალე გუნდიდან წავიდეს, რადგან ბირმინგემელთა აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვა ერთ-ერთ ამერიკულ ფირმას, კერძოდ, მის მფლობელ რენდი ლერნერს სურს.

ამ ზაფხულს „ვილა პარკის“ ბინადრებს არც ერთი ფეხბურთელი არ უყიდიათ, მაგრამ თუ გუნდში ლერნერი მივა, იგი ინვესტიციების ჩადებას და ტრანსფერებისთვის გარკვეული, საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფას აპირებს. სავარაუდოდ, ონილის საწინააღმდეგო არც მას ექნება რამე.

**კოკი კანდელაკი**

# დედის გულისთვის




**„ტულუზის“** მწვრთნელი ელი ბოპი აცხადებს, რომ ფაბიენ ბარტეზს მის გუნდში სურს კარიერის დასრულება. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მარსელის“ ყოფილი მეკარე საფრანგეთიდან წასვლას აღარ აპირებს, დედაჩემი მძიმედაა ავად და მას უნდა მივხედოო.

ბარტეზზე ამბობდნენ, შესაძლოა, „რენში“ გადავიდეს, საიდანაც ანდრეას ისაკსონი მიდისო, მაგრამ ელი ბოპმა ეს ამბავი უარყო. „ფაბიენმა მითხრა, რომ კარიერას აქ დაასრულებს — განაცხადა მწვრთნელმა — ეს მისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, თან ჩემთვის დიდი პატივია, რომ „ტულუზში“ ითამაშებს“.

არადა, „ტულუზის“ შეფ ოლივიე სადრანს ადრე უთქვამს, ისედაც კარგი მეკარეები გვყავს და ბარტეზის ყიდვას არ ვფიქრობო.

**ბაკუნა კედია**



# კოული ვარჯიშობს

**გუშინ** ეშლი კოული „არსენალის“ ვარჯიშზე მივიდა, რათა თავიდან აერიდებინა 60 ათას ფუნტიანი ჯარიმა. სანამ „არსენალის“ ფეხბურთელი ხარ, ვარჯიშის გაცდენა არ გამოგივა.

თუმცა, კოულმა მუცელი აიტკივა და ერთი საათის თავზე სკამზე ჩამოჯდა. წუხელ კოული არსენ ვენგერს უნდა შეხვედროდა და თავის „ჩელსიში“ გადასვლაზე უნდა ელაპარაკა. ტრანსფერი 25 მილიონგირვანქიანი გამოვა, თუმცა, გუშინ ვენგერი ამბობდა: „თუ ეშლის გავყიდით, ის ამის შესახებ შეიტყობს, არადა მან, როგორც მეთოფემ, უნდა ივარჯიშოს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფიგეროა გამდიდრდება



**არგენტინის** ნაკრების ფეხბურთელი ლუჩო ფიგეროა, რომელიც ტრავმის გამო გასულ მუნდიალზე ხოსე პეკერმანმა არ იახლა, სერია B-ს „ჯენოაში“ გადავიდა. კლუბის განცხადებით, შეთანხმება უკვე მიღწეულია და 25 წლის ფორვარდი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. არგენტინელი სეზონში 3 მილიონ 500 ათას გირვანქას მიიღებს, რაც დაბალი ლიგის კვალობაზე გვარიანად მსუყე თანხაა.

„რივერ პლეიტის“ ყოფილი მეგოლე მარტში დაშავდა და მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. იგი გასულ ზაფხულს გადავიდა „ვილიარეალში“, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და იანვარში არგენტინაში, „რივერ პლეიტში“ დაბრუნდა, სადაც ტრავმის მიღებამდე 15 გოლის შეგდება მოასწრო.

„ჯენოას“ პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზის ერთადერთი რამ აღელვებს — ფიგეროას ფიზიკური მზადყოფნა. არგენტინელს რამდენჯერმე შეამოწმებენ ექიმები, რათა გაუგებრობა არ მოხდეს და ტრავმირებული ფეხბურთელი არ იყიდონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედზე გამარჯვება




## ფეხბურთით დაღლილი

... იმ კვირას ჟურნალისტებს ჩემი გულისტკივილი ალალად ვუთხარი. წყენა გულში მიგროვდებოდა და მისი დამალვა უკვე აღარ შეიძლებოდა. სხვათა შორის, როგორც კი ჩემი სათქმელი ვთქვი, მაშინვე შვება ვიგრძენი.

უკვე გითხარით, რომ ბრაზილიაში ჩემი გამგზავრების შესახებ მწვრთნელს წინასწარ ვაცნობე. გარდა ამისა, არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ შვებულების უფლება ნებისმიერ დაქირავებულ მუშაკს აქვს. თუმც იმ მომენტში სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო — ბრაზილიაში ჩემს წასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, რივალდოს ხელფასთან დაკავშირებით გაზეთებმა დიდი ალიაქოთი ატეხეს. მე კი კლუბის ხელმძღვანელობისთვის ჯამაგირის მომატება არასდროს მითხოვია. საქმე ის გახლავთ, რომ მას შემდეგ, რაც „დეპორტივოდან" „ბარსაში" გადავედი, ევროპულმა კლუბებმა წამყვან ფეხბურთელებს ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაუზარდეს. ეს ყველაფერი იტალიაში დაიწყო და ესპანური გრანდებიც, მაგალითად, „რეალი", იძულებულნი გახდნენ კლუბის ვარსკვლავთა (რაული, რობერტო კარლოსი) კონტრაქტების ფინანსური მხარე გადაესინჯათ და საჭირო ტრანსფერებშიც (სტივ მაკმანამანი, ლუიშ ფიგუ) მეტი ფული გადაეხადათ. მადრიდელ მოთამაშეთა ხელფასებზე რატომღაც არავინ არაფერი თქვა და ამიტომაც ვერ ვიგებ, პრესაში მაინცდამაინც ჩემს ანაზღაურებაზე რატომ გაგიჟდნენ... გაზეთებში და ტელევიზიაში სულ ის მესმოდა, რომ რივალდო მულტიმილიონერია და სხვა ბარსელონელებზე დიდი ჯამაგირის მქონე ბრაზილიელი მოედანზე საქმეს მაინც უნდილად ეკიდება... თამაშის მხრივ ცილისმწამებლებს პასუხს ადვილად ვცემდი, მაგრამ რა უნდა მექნა მაშინ, როცა გაუმაძღრობას და ფულხარბობას მაბრალებდნენ?

წარმოიდგინეთ, „ზვიგენ" რივალდოზე პრესაში „ახალ ამბებს" კითხულობდნენ „ბარსას" ფანები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში მაძღრისად კვებისთვის ფული არ ჰყოფნით... ხვდებით, რა პროვოკაციაც მომიწყვეს? ზუსტად ასე ხდებოდა, უნდოდათ, ხალხი ჩემს წინაალმდეგ განეწყოთ. ჩემმა პასუხმაც აღარ დააყოვნა — განა ტყუილად ვუთხარი, აქ თუ არ მაფასებთ, სხვა გუნდში გადავალ, „ბარსელონასგან" კაპიკი აღარ მინდა-მეთქი...

საერთოდ, ამ თემის განხილვა საჭირო არ გახლდათ. ხსენებული მოვლენებიდან ერთი წლით ადრე, როდესაც „ბარსასთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ერთ-ერთი მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ საკონტრაქტო პირობები გადასინჯვას ექვემდებარებოდა. მოვიდა დრო და ყველამ ერთ ხმაში ძაგება დამიწყო — არაპოპულარული რივალდო ზედმეტად ბევრ ჯამაგირს იღებსო.

იცით, რა არის ყველაზე საინტერესო? ის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ იმ პერიოდში მაღიარეს... ნუთუ ამ ტიტულს არ შეეძლო საერთო აღტაცება, ან თუნდაც პატივისცემა გამოეწვია? მაშინ ვთვლი, რომ ყველაფერი წინ მქონდა. ვფიქრობდი, თუ ტრავმებმა საშუალება მომცა, 35 წლამდე ვითამაშებ-მეთქი. ფიზიკურად თავს დიდი ფეხბურთისთვის ჯანსაღად მივიჩნევდი, თუმც ემოციური პიკი უკვე განვლილი იყო. სიცოცხლეში პირველად ფეხბურთისგან დაღლილობა ვიგრძენი და კიდევაც ვუთხარი ჩემს ცოლს ბარსელონაში დაბრუნებამდე — რას ფიქრობ, იქნებ მოედანზე სირბილს შევეშვა და მშვიდად ცხოვრება დავიწყოთ?

ჟურნალისტებთან შეხვედრამ ეს ეჭვი გამიორმაგა. რესიფეში, ბრაზილიაში ხომ არ დავბრუნდე? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. სამშობლოში რომ მართლაც ყველას ვუყვარდი... შინაგანი ხმა მკარნახობდა, ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა — მე უკონფლიქტო კაცი ვარ, ფეხბურთი კი პრობლემათა დიდი გროვა გახლავთ. შემგუებლობით დავიქანცე, არაგულწრფელ და ქლესა ხალხთან ურთიერთობა აღარ შემეძლო (ისინი საფეხბურთო სამყაროს უმრავლესობა არიან). ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც უკმაყოფილებას ვეღარ ითმენ და გინდა, ბრაზი რაც შეიძლება, სწრაფად ამოაფრქვიო. ამიტომაც, „ბარსას" პრესკონფერენციაზე ჩემს ემოციურ გამოსვლას უეცრად გამდიდრებული ნაბიჭვრის ახირებად ნუ მიიჩნევთ. არა, ეს უფრო ვარსკვლავადქცეული კაცის კვნესა იყო, რომელიც გარშემომყოფი სისტემის უსამართლობას აუჯანყდა.

ჩემმა სამართლიანმა აღშფოთებამ სერიოზულად დამაფიქრა — კითხვის თვალით გადავხედე ყველაფერს, რასაც იქამდე ვაკეთებდი. შეიძლება, რივალდოს სიტყვები ფარსად მოგეჩვენოთ (მე ხომ თამაშს ახლაც ვაგრძელებ), მაგრამ მაშინ 180 გრადუსით შემოტრიალებისთვის მზად ვიყავი. მსურდა, დამევიწყებინა ფეხბურთი, გაზეთები, ტელევიზია, გულშემატკივრები, პოპულარობა და დავბრუნებოდი ოჯახს — ცუდია თუ კარგი, ოჯახის წევრი გაფასებს და ყველა გასაჭირში შენს გვერდითაა.

თან ყველაფერ ამას მუხლის ტრავმაც დაერთო. ასე თუ ისე, ბრაზილიიდან დაბრუნების შემდეგ, ადრე საკუთარ თავში დარწმუნებული რივალდო თავისი ცხოვრების წესზე პირველად დაფიქრდა...

„ბარსელონამაც" წაიბორძიკა — ადრე ყველა ჯილდოს თავისუფლად მომგებ გუნდს ვეღარ იცნობდით, კრიტიკის ქარცეცხლში იყო მოქცეული. ამანაც გამიძლიერა ეჭვები.

ბავშვობის წლებში გაჭირვებანანახი კაცი ფინანსური და სპორტული წარმატების მიღწევის შემდეგ თითქოს ოპტიმისტად უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ ბრაზილიელის ფსიქოლოგია სხვანაირია — ჩვენ რაც არ უნდა მწვერვალზე ავიდეთ, სხვათა მხრიდან უმცირეს არაგულწრფელობასაც მტკივნეულად განვიცდით და ცხოვრების მტაცებლობაზე აზრი არ გვეცვლება. მაშინ პირველად მივხვდი, რომ კარიერაში ირგვლივ მეტწილად შუბლისძარღვგაწყვეტილი მტაცებლები მეხვივნენ... ფული უკვე საკმაოდ მქონდა იმისთვის, რომ ჩემთვის არასასურველ ხალხთან და გარემოსთან ჩამოცილებაზე და წყნარი ცხოვრების დაწყებაზე მეფიქრა.

რა უნდა მექნა? პლანეტის საუკეთესო მობურთალი ან საბოლოოდ უნდა შესულიყო გმირის როლში, ან კიდევ საერთოდ ფეხბურთზე მართებდა უარის თქმა. ის „გმირობაც" არ იყო ისეთი, რასაც ერთი შეხედვით ეს სიტყვა გამოხატავს — ფეხბურთში ხომ ყველაფერი ორაზროვანია.

## პროფესია შევიცვალო?

რესიფეში გაქცევაზე სულ უფრო მეტს ვფიქრობდი. მედიაც „ხელს მიწყობდა", დღითი დღე ახალ-ახალი ცნობები ჩნდებოდა ჩემი გაუმაძღრობის შესახებ. რივალდოს მაღალ ხელფასზე გაზეთები ადრეც წერდნენ, ოღონდ მაშინ პატივისცემით და მოწიწებით აღნიშნავდნენ, რომ „ბარსას" მთავარვარსკვლავს ანაზღაურებაც მეტი ეკუთვნოდა. რაღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, როცა ყველაზე მეტად გამიჭირდა, ჟურნალისტებმა მაშინ შემომიტიეს.

ფულზე ლაპარაკმა უნებლიედ ბავშვობა გამახსენა. ჩვენს პატარა სახლში ხან პურის ნატეხსაც ვერ ნახავდით... მიუხედავად ამისა, არასდროს მოედანზე მარტო ფულისთვის არ გავსულვარ, ფეხბურთის სიყვარული მიბიძგებდა იმ თამაშისკენ, რითაც გულშემატკივრები იხიბლებოდნენ. ჩემთვის ყველაზე დიდი განცხრომა ფეხბურთისგან სიამოვნების მიღება და ქომაგების გახარებაა.

სანამ ბრაზილიიდან ბარსელონაში დავბრუნდებოდი, რივალდოს ფეხბურთიდან შესაძლო წასვლა ოჯახში ერთად განვიხილეთ. რა იქნება, თუ ფეხბურთს დავტოვებ? ალბათ, სელექციონერი გავხდები და ახალგაზრდა ტალანტებს აღმოვაჩენ...

**გაგრძელება იქნება**



# რიბერის უყვარს მარსელი

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მარსელის" ნახევარმცველი ფრანკ რიბერი კლუბიდან არ მიდის. ის კიდევ ოთხი წლით აპირებს დარჩენას. „მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში აქ ვიქნები — თქვა ფრანგმა კლუბის ტელეარხზე — მიყვარს ეს გუნდი და გუნდის ფანები".

ფრანკ რიბერის ყიდვა ევროპელ ბობოლებს სურდათ. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „მარსელს" ფეხბურთელზე ევაჭრებოდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა პაპე დიუფმა ყველა უარით გაისტუმრა.

რიბერი მარსელში გასულ შაბათს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ პრეზიდენტს ორი დღე დაამატებინა არდადეგებზე და გუშინღა მივიდა ვარჯიშზე. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი პარასკევს იწყება

**ირაკლი ნინიძე**

# პენეტოს უმუხთლა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის დებიუტანტ „ვალანსიენს" მომავალ შაბათს, პირველ ტურში „ოსერთან", ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება.

ზაფხულის უმთავრესი შენაძენი მეკარე ნიკოლა პენეტო სეზონის დასაწყისს მუხლის ტრავმის გამო გამოტოვებს, მუხლი კი „სედანთან" ამხანაგურ მატჩში დაუშავდა.

„ჯერ ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს უქმობა — თქვა პენეტომ — კიდევ ერთხელ დამჭირდება სკანირება."

„ვალანსიენის" პრობლემა მხოლოდ მეკარე არაა. ნახევარმცველები: ერიკ ჰასლი, პატრიკ პააუვე და სებასტიან რუდეც ტრავმირებულნი არიან. ერთადერთი სასიხარულო ამბავი „ვალანსიენისთვის" ისაა, რომ რუმინელი ფორვარდი ფლორინ ბრატუ ფორმაშია, რომელიც გასულ სეზონში „ნანტში" იყო განათხოვრებული

**გიორგი დარჯანია**

## შვედეთი

### ალსვენსკა. XII ტური

**ჰალმსტადი 3:0 გეფლე**
**ჰელსინგბორგი 2:1 კალმარი**
**მალმიო 2:0 იოსტერსი**
**გიოტებორგი 1:1 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:13 | 26 |
| ელფსბორგი | 12 | 6 | 5 | 1 | 20:10 | 23 |
| აიკ | 12 | 6 | 4 | 2 | 22:13 | 22 |
| მალმიო | 12 | 6 | 3 | 3 | 19:13 | 21 |
| იურგორდენი | 12 | 5 | 5 | 2 | 15:10 | 20 |
| გიოტებორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| კალმარი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:11 | 17 |
| გეფლე | 12 | 4 | 3 | 5 | 12:18 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 3 | 5 | 4 | 16:17 | 14 |
| გაის | 12 | 3 | 4 | 5 | 11:17 | 13 |
| ჰალმსტადი | 12 | 2 | 5 | 5 | 7:12 | 11 |
| ჰეკენი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:18 | 10 |
| იოსტერსი | 12 | 1 | 3 | 8 | 6:23 | 6 |
| იორგრიტე | 12 | 0 | 5 | 7 | 10:20 | 5 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XV ტური

**ლინი 1:2 სტარტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 14 | 9 | 4 | 1 | 24:12 | 31 |
| როსენბორგი | 15 | 6 | 6 | 3 | 22:16 | 24 |
| სტაბეკი | 15 | 5 | 7 | 3 | 23:17 | 22 |
| ლილესტრიომი | 13 | 6 | 4 | 3 | 22:17 | 22 |
| ოდ გრენლანდი | 15 | 5 | 7 | 3 | 21:17 | 22 |
| სანდეფიორდი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:24 | 21 |
| ვოლერენგა | 15 | 5 | 4 | 6 | 19:18 | 19 |
| ჰამ კამი | 15 | 5 | 3 | 7 | 22:20 | 18 |
| ლინი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:17 | 18 |
| სტარტი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:18 | 18 |
| ვიკინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:17 | 17 |
| მიოლდე | 15 | 5 | 2 | 8 | 17:24 | 17 |
| ფრედრიქსტადი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:27 | 16 |
| ტრომსიო | 15 | 3 | 4 | 8 | 14:21 | 13 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XIV ტური

**ჰიკ 5:0 კტპ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰონკა | 14 | 9 | 2 | 3 | 33:18 | 29 |
| ტამპერე | 13 | 9 | 1 | 3 | 20:11 | 28 |
| ჰიკ | 14 | 7 | 3 | 4 | 21:11 | 24 |
| ჰაკა | 13 | 7 | 3 | 3 | 16:9 | 24 |
| მარიეჰამნი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:14 | 22 |
| ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 24:19 | 20 |
| მიუპა | 12 | 4 | 3 | 5 | 11:11 | 15 |
| ლაჰტი | 14 | 4 | 3 | 7 | 10:19 | 15 |
| კტპ | 13 | 4 | 2 | 7 | 12:27 | 14 |
| იარო | 13 | 3 | 4 | 6 | 15:17 | 13 |
| ვაასა | 13 | 3 | 4 | 6 | 14:17 | 13 |
| ინტერი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | 11 |
| კუოპიო | 13 | 2 | 3 | 8 | 9:23 | 9 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIV ტური

**როსტოვი 2:1 სპარტაკი (ნ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი ნ. | 14 | 8 | 3 | 3 | 23:15 | 27 |
| სპარტაკი მ. | 14 | 6 | 7 | 1 | 28:17 | 25 |
| ცსკა | 14 | 7 | 4 | 3 | 21:11 | 25 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 5 | 3 | 26:18 | 23 |
| კრილია | 14 | 6 | 5 | 3 | 22:15 | 23 |
| რუბინი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:16 | 23 |
| ტომი | 14 | 6 | 4 | 4 | 17:13 | 22 |
| მოსკვა | 14 | 5 | 5 | 4 | 16:17 | 20 |
| ზენიტი | 14 | 4 | 7 | 3 | 18:18 | 19 |
| ლუჩ-ენერგია | 14 | 5 | 3 | 6 | 19:18 | 18 |
| როსტოვი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:21 | 16 |
| სატურნი | 14 | 2 | 9 | 3 | 11:12 | 15 |
| ამკარი | 14 | 2 | 5 | 7 | 9:23 | 11 |
| დინამო | 14 | 1 | 7 | 6 | 11:17 | 10 |
| ტორპედო | 14 | 1 | 7 | 6 | 11:20 | 10 |
| შინიკი | 14 | 1 | 4 | 9 | 7:24 | 7 |

# სარბიელი და კროკი


## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი**
**ჩემპიონატი**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 1 | ლუტონი-ლესტერი | 2.30 | 2.90 | 2.50 | 1.28 | 1.19 | 1.34 |
| 18:00 | 2 | ბარნსლი-კარდიფი | 2.30 | 3.00 | 2.50 | 1.30 | 1.19 | 1.36 |
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-კოლჩესტერი | 1.40 | 3.30 | 6.00 | 1.00 | 1.13 | 2.12 |
| 18:00 | 4 | ბარნლი-ქპრ | 1.75 | 3.20 | 3.30 | 1.13 | 1.14 | 1.62 |
| 18:00 | 5 | იფსვიჩი-კრისტალ პალასი | 2.20 | 3.00 | 2.60 | 1.26 | 1.19 | 1.39 |
| 18:00 | 6 | ლიდსი-ნორვიჩი | 1.80 | 3.10 | 3.25 | 1.13 | 1.15 | 1.58 |
| 18:00 | 7 | პლიმუთი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 8 | პრესტონი-უენსდი | 1.65 | 3.00 | 4.10 | 1.06 | 1.17 | 1.73 |
| 18:00 | 9 | საუთენდი-სტოკი | 2.20 | 3.00 | 2.50 | 1.26 | 1.17 | 1.36 |
| 18:00 | 10 | ვესტ ბრომვიჩი-ჰალი | 1.50 | 3.30 | 4.60 | 1.03 | 1.13 | 1.92 |

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 11 | ქოვენთრი-სანდერლენდი | 2.30 | 2.90 | 2.60 | 1.28 | 1.22 | 1.37 |
| 19:00 | 12 | დერბი-საუთჰემპტონი | 2.30 | 2.90 | 2.50 | 1.28 | 1.19 | 1.34 |

**ინგლისი**
**I ლიგა**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 13 | ბორნმუთი-ჩესტერფილდი | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 14 | ბრენტფორდი-ბლეკპული | 1.85 | 3.10 | 3.30 | 1.15 | 1.18 | 1.59 |
| 18:00 | 15 | ბრისტოლი-სკანთორპი | 1.50 | 3.30 | 4.90 | 1.03 | 1.14 | 1.97 |
| 18:00 | 16 | კარლაილი-დონკასტერი | 2.35 | 2.90 | 2.50 | 1.29 | 1.21 | 1.34 |
| 18:00 | 17 | ქრიუ-ნორტჰემპტონი | 1.70 | 3.10 | 3.60 | 1.09 | 1.15 | 1.66 |
| 18:00 | 18 | ჯილინგემი-ჰადერსფილდი | 2.15 | 3.10 | 2.70 | 1.26 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 19 | მილუოლი-იოვილი | 1.66 | 3.20 | 4.10 | 1.09 | 1.18 | 1.79 |
| 18:00 | 20 | ნოტინგემი-ბრედფორდი | 1.55 | 3.40 | 4.70 | 1.06 | 1.16 | 1.97 |
| 18:00 | 21 | პორტ ვეილი-ლეიტონი | 1.90 | 3.10 | 3.20 | 1.17 | 1.19 | 1.57 |
| 18:00 | 22 | როტერჰემი-ბრაიტონი | 2.25 | 3.00 | 2.50 | 1.28 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 23 | სუონსი-ჩელტენემი | 1.55 | 3.25 | 4.70 | 1.04 | 1.16 | 1.92 |
| 18:00 | 24 | ტრანმერი-ოლდემი | 2.00 | 3.00 | 2.75 | 1.20 | 1.15 | 1.43 |

**ინგლისი**
**II ლიგა**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 25 | ბარნეტი-ტორკი | 2.15 | 3.00 | 2.70 | 1.25 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 26 | ჩესტერი-აკრინგტონი | 2.10 | 3.00 | 2.90 | 1.23 | 1.21 | 1.47 |
| 18:00 | 27 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1.66 | 3.20 | 3.80 | 1.09 | 1.15 | 1.73 |
| 18:00 | 28 | გრიმსბი-ბოსტონი | 1.80 | 2.80 | 3.40 | 1.09 | 1.17 | 1.53 |
| 18:00 | 29 | ჰარტლპული-სუინდონი | 2.10 | 3.00 | 2.80 | 1.23 | 1.20 | 1.44 |
| 18:00 | 30 | ლინკოლნი-ნოტსი | 1.85 | 3.10 | 3.00 | 1.15 | 1.14 | 1.52 |
| 18:00 | 31 | დონსი-ბერი | 1.60 | 3.20 | 4.50 | 1.06 | 1.18 | 1.87 |
| 18:00 | 32 | პიტერბრო-როვერსი | 1.95 | 3.10 | 3.00 | 1.19 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 33 | როჩდეილი-უოლსოლი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| 18:00 | 34 | შრიუსბერი-მენსფილდი | 1.80 | 3.10 | 3.50 | 1.13 | 1.18 | 1.64 |
| 18:00 | 35 | სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2.00 | 3.00 | 2.90 | 1.20 | 1.18 | 1.47 |
| 18:00 | 36 | უიკომბი-რექსემი | 1.80 | 2.80 | 3.40 | 1.09 | 1.17 | 1.53 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 37 | აბერდინი-ინვერნესი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 38 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.85 | 3.20 | 3.30 | 1.17 | 1.18 | 1.62 |
| 18:00 | 39 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 41 | სტ.მირენი-მოზერუელი | 2.30 | 3.10 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.41 |

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 42 | ჰართსი-სელტიკი | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |

**შოტლანდია**
**I დივიზიონი**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 43 | ერდრი-როსი | 2.20 | 3.35 | 2.40 | 1.32 | 1.14 | 1.39 |
| 18:00 | 44 | დანდი-პარტიკი | 1.70 | 3.35 | 3.60 | 1.12 | 1.15 | 1.73 |
| 18:00 | 45 | გრეტნა-ჰამილტონი | 1.50 | 3.40 | 4.50 | 1.04 | 1.12 | 1.93 |
| 18:00 | 46 | ლივინგსტონი-ქუინი | 1.60 | 3.40 | 4.15 | 1.08 | 1.15 | 1.86 |
| 18:00 | 47 | სტ.ჯონსტონი-კლაიდი | 1.60 | 3.40 | 4.20 | 1.08 | 1.15 | 1.87 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი**
**4 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 107 | ნანტი-ლიონი | 4.15 | 3.00 | 1.80 | 1.74 | 1.25 | 1.12 |

**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 108 | რენი-ლილი | 2.20 | 2.75 | 3.10 | 1.22 | 1.28 | 1.45 |
| 22:00 | 109 | ოსერი-ვალენსიენსი | 1.50 | 3.20 | 5.50 | 1.02 | 1.17 | 2.02 |
| 22:00 | 110 | ბორდო-ტულუზი | 1.50 | 3.20 | 6.00 | 1.02 | 1.20 | 2.08 |
| 22:00 | 111 | ლე მანი-ნიცა | 2.10 | 2.75 | 3.35 | 1.19 | 1.29 | 1.51 |
| 22:00 | 112 | ლანსი-ტრუა | 1.60 | 3.20 | 5.60 | 1.06 | 1.24 | 2.03 |
| 22:00 | 113 | ნანსი-მონაკო | 2.50 | 2.75 | 2.70 | 1.30 | 1.29 | 1.36 |
| 22:00 | 114 | პსჟ-ლორიანი | 1.35 | 3.57 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.46 |
| 22:00 | 115 | სტ.ეტიენი-სოშო | 1.90 | 2.80 | 4.10 | 1.13 | 1.29 | 1.66 |

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 116 | სედანი-მარსელი | 3.00 | 2.75 | 2.20 | 1.43 | 1.26 | 1.22 |

**საფრანგეთი**
**II დივიზიონი**
**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 117 | გენგამი-აიაჩო | 2.20 | 2.80 | 3.00 | 1.23 | 1.26 | 1.44 |

**თურქეთი**
**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 137 | ანკარა-გალათასარაი | 4.65 | 3.35 | 1.55 | 1.94 | 1.16 | 1.05 |
| 15:00 | 138 | ანტალია-რიზე | 2.20 | 3.15 | 2.80 | 1.29 | 1.23 | 1.48 |
| 15:00 | 139 | ბურსა-ანკარაგიუჯიუ | 1.85 | 3.10 | 3.30 | 1.15 | 1.18 | 1.59 |
| 15:00 | 140 | ფენერბაჰჩე-ერჯიესი | 1.15 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 15:00 | 141 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1.85 | 3.10 | 3.20 | 1.15 | 1.17 | 1.57 |
| 15:00 | 142 | კაისერი-ტრაბზონი | 2.45 | 3.00 | 2.40 | 1.34 | 1.21 | 1.33 |
| 15:00 | 143 | კონია-საკარია | 1.70 | 3.20 | 3.75 | 1.11 | 1.16 | 1.72 |
| 15:00 | 144 | სივასპორი-გენჩლერბირლიგი | 2.25 | 3.00 | 2.70 | 1.28 | 1.22 | 1.42 |
| 15:00 | 145 | მანისა-ბეშიქთაში | 3.70 | 3.25 | 1.75 | 1.73 | 1.18 | 1.13 |

**რუსეთი**
**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 147 | ცსკა-ენერგია | 1.20 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 3.07 |

**4 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 148 | ტორპედო-დინამო | 2.50 | 2.75 | 2.30 | 1.30 | 1.19 | 1.25 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 183 | ვეილე-ოდენსე | 3.70 | 3.20 | 1.80 | 1.71 | 1.21 | 1.15 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 198 | ლილესტრიომი-ბრანი | 2.15 | 3.25 | 2.95 | 1.29 | 1.24 | 1.54 |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 199 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1.90 | 3.00 | 3.10 | 1.16 | 1.17 | 1.52 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 200 | ლინი-მოლდე | 1.90 | 3.00 | 3.10 | 1.16 | 1.17 | 1.52 |
| 20:00 | 201 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2.00 | 2.90 | 3.10 | 1.18 | 1.21 | 1.49 |
| 20:00 | 202 | ტრომსიო-სანდეფიორდი | 1.85 | 3.00 | 3.20 | 1.14 | 1.17 | 1.54 |
| 20:00 | 203 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 22:00 | 204 | ბრანი-სტარტი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 205 | ფრედრიკსტადი-ჰამარი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1,23 | 1.50 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 218 | ჰეკენი-გაის | 1.85 | 3.10 | 3.30 | 1.15 | 1.18 | 1.59 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 219 | კალმარი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 220 | იორგრიტე-ჰამარბი | 3.00 | 3.25 | 2.10 | 1.55 | 1.23 | 1.27 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 238 | ჰაკა-ვპს | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 19:30 | 239 | ჰიკ-ინტერი | 1.35 | 4.10 | 6.50 | 1.01 | 1.11 | 2.51 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 280 | სპარტაკი-შერიფი ტირასპოლი | 1.12 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 3.88 |
| 20:00 | 281 | დინამო კ-მეტალურგი | 1.07 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 21:00 | 282 | მიუპა-კოპენჰაგენი | 3.55 | 3.20 | 1.70 | 1.68 | 1.14 | [illegible] |
| 22:30 | 284 | ლეგია-ჰაფნარფიორდური | 1.12 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.54 |
| 21:30 | 285 | სტიაუა-გორიცა | 1.17 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.04 | 3.46 |
| 22:00 | 286 | რაბოტნიჩკი-დებრეცენი | 2.75 | 3.10 | 2.20 | 1.45 | 1.22 | 1.28 |
| 22:00 | 287 | რუჟომბეროკი-იურგორდენი | 1.90 | 3.10 | 3.20 | 1.17 | 1.19 | 1.57 |
| 22:15 | 288 | ცრვენა ზვეზდა-კორკი ს | 1.15 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.33 |
| 22:15 | 289 | ზალცბურგი-ციურიხი | 1.65 | 3.15 | 4.20 | 1.08 | 1.18 | 1.79 |
| 22:30 | 290 | დინამო ზ -ეკრანასი | 1.07 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 22:30 | 291 | შიროკი ბრიეგი-ჰართსი | 3.10 | 3.10 | 1.95 | 1.54 | 1.19 | 1.19 |
| 22:45 | 292 | ვოლერენგა-ბოლესლავი | 1.90 | 3.00 | 3.30 | 1.16 | 1.20 | 1.57 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 313 | ბაიერნი-შალკე | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 293 | ლანდსკრონა-გეფლე | 2.45 | 3.00 | 2.45 | 1.34 | 1.22 | 1.34 |
| 21:00 | 294 | იოსტერსი-ვესბი | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 295 | სან პაულუ-ჩივასი | 1.40 | 3.60 | 5.50 | 1.00 | 1.11 | 2.17 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 296 | ინტერნასიონალი-ლიბერტადი | 1.40 | 3.60 | 5.50 | 1.00 | 1.11 | 2.17 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით ალმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით ალმაშენებლის №12 | |



ბესიკ ლიპარტელიანი

# სხვა ამერიკელი

## ტრაიანო თბილისში დროულად ჩამოვა

**თითქმის** გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს ნაკრებში ბურთს ისევ ამერიკელი გაათამაშებს. თავის გზაზე წასულ შემონდ უილიამსს მისივე თანამემამულე შეცვლის, მაგრამ ვინ, ა, ამას უკვე კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები აღარ აკონკრეტებენ.

ამას წინათ „სარბიელში" ვწერდით, რომ ფედერაცია ფრანგული „სტრასბურის" გამთამაშებელ ჯონ ლინანს ეკურკურებოდა. ქართული კალათბურთის გამგებელმა ბესიკ ლიპარტელიანმა კი გუშინ გვითხრა, ლინანის ვარიანტი გამოირიცხა, თუმც თითქმის დარწმუნებულნი ვართ, რომ სხვა ამერიკელს დავითანხმებთო.

ამასობაში კი დრო გადის, ნაკრების შეკრება კარს მოგვადგა და არც საკვალიფიკაციო მატჩებია შორს. თუ ფედერაციას უცხოელის ნატურალიზება სურს, ამ საქმეს თავი დროზე უნდა დაადგას, პროცედურულად რომ ყველაფერი მოესწროს. ისე, ლიპარტელიანი დაგვპირდა, ამ დღეებში საქვეყნოდ გამოვაცხადებთ შემონდ უილიამსის შემცვლელის ვინაობასო.

ნაკრები, მოგეხსენებათ, 5 აგვისტოს დიღმის ბაზაზე იკრიბება და, როგორც იმავ ლიპარტელიანისგან შევიტყვეთ, შესაძლოა, პირველ ვარჯიშს ვერ დაესწროს მთავარი მწვრთნელი ჯეი ტრაიანო.

„დღეს საღამოს, ალბათ, მოგვივა ტრაიანოს თანხმობა ჩამოსვლასთან დაკავშირებით. წესით, ის თბილისში 5 აგვისტოს უნდა ჩამოვიდეს, თუმც შესაძლებელია, ერთი დღით დააგვიანოს. მისი თანაშემწისგან, კენი ატკინტონისგან კი უკვე მივიღეთ თანხმობა და ის 5 აგვისტოს თბილისში იქნება".

რაც შეეხება შემადგენლობას, ნაკრების ყველა კანდიდატი 5-ში დიღომში იქნება. მხოლოდ ნიკოლოზ ცქიტიშვილის ჩამოსვლაა სათუო. იგი ჯერჯერობით უგუნდოდაა და სანამ ამ პრობლემას არ მოაგვარებს, ნაკრებისკენ გული არ მოუწევს. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, ცქიტიშვილი პარასკევს ელის კონტრაქტის გაფორმებას და თუ მოახერხა, მეორე დღესვე სამშობლოში გამოფრინდება.

ცქიტიშვილს, სავარაუდოდ, „სიეტლ სუპერსონიკსი" ჰპირდება კონტრაქტს და თუ გაუფორმა, ვლადიმერ სტეფანიას შემდეგ ის იქნება მეორე ქართველი, რომელიც ამ გუნდის მაისურას მოირგებს.

**ირაკლი პერტაია**

# არას გვარგებს კაპიტნობა

## ჯო ჯონსონი მკლავებს იკაპიწებს

*ჯო ჯონსონს დიდი დრო არ დასჭირდა ახალ გუნდთან შესაწყობ-შესაგუებლად. „ფინიქსში" ის მეორეხარისხოვანი მოთამაშე იყო. მის ირგვლივ ხომ სტივ ნეში, ამარე სტუდემაიერი და შონ მერიონი თამაშობდნენ. „ატლანტაში" კი ერთპიროვნულ ლიდერად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯიელები კარგა გვარიანად ჩამორჩნენ პლეი ოფის, ჯონსონს ისე კარგი სეზონი გამოუვიდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისში ჩართეს.*

*ქვემორე ინტერვიუში „ატლანტას" ლიდერი და ჩვენებური ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი წარსულზე, მომავალზე, აგრესიაზე და შიდაგუნდურ სამზარეულოზე საუბრობს.*



— სეზონი კარგა ხნის დასრულებულია. რაზე ნანობ ყველაზე მეტად, ან შენს შეცდომებზე თუ გიფიქრია?

— „ატლანტაში" რომ გადმოვედი, ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე მომიწია თამაშმა, რაც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. როგორც ვიცი, ზაზა ფაჩულიასაც იგივე პრობლემა ჰქონდა. ძალიან ცუდად დავიწყეთ, რაც უპირველესად იმით იყო განპირობებული, რომ მოთამაშეებმა არ ვიცოდით, ვის რა როლი უნდა შეგვესრულებინა. თან ჯეისონ კოლიეც დავკარგეთ, რამაც ემოციურად გაგვანადგურა და უკვე აღარაფრის თავი აღარ გვქონდა.

— როგორ გგონიათ, 26 მოგება და 56 წაგება ნიშნავს თუ არა იმას, რომ სეზონის ბოლოს თქვენმა გუნდმა თამაში გამოასწორა?

— წელს სრულიად ახლებურად ვუდგები ამ საკითხს და არა აქვს მნიშვნელობა, როგორ დავიწყეთ 2-16 თუ 2-21 შედეგით. გასულ წელს გვქონდა პერიოდები, როდესაც კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ ახალგაზრდა გუნდი ვართ, ბიჭებს მათთვის უცხო პოზიციებზე უწევდათ თამაში. თუმცა თუ რამის მიღწევა გინდა, ოფლიც უნდა ღვარო. ახლა მოთამაშეები გამარჯვებას მოწყურებულნი დაბრუნდებიან.

— ალ ჰარინგტონის წასვლის შემთხვევაში თქვენ გუნდის კაპიტანი ხდებით. თუ გილაპარაკიათ გუნდის დანარჩენ წევრებთან იმის შესახებ, რაც წელან გვითხარით?

— გუნდის ყველა წევრთან მუდმივი კონტაქტი მქონდა ამ ზაფხულის განმავლობაში. ჯოშ სმიტს მუდმივად ველაპარაკები, ძალიან მაგრად ვარჯიშობს და სრულ მზადყოფნაშია. ამ სეზონში მაგრად მოუმატებს. მარვინ უილიამსი ჩემთვის ძმასავითაა. ეგეც მაგრად ვარჯიშობს. ყველამ ვიცით, რისი გაკეთებაც გვჭირდება, ველით, რომ მზად უნდა ვიყოთ. დასაკარგი დრო აღარა გვაქვს. წელს, როდესაც პლეი ოფის ყურება სახლში მომიწია, მივხვდი, რომ კარგად უნდა მოვემზადოთ. ასეა, ერთ სეზონში დასავლეთ კონფერენციის ფინალში ხარ და გგონია, რომ მუდვივად ასე იქნება, მეორე სეზონში კი ტელევიზორთან ჯდომა გიწევს, მე კი კალათბურთის ტელევიზორში ყურებას ვერ ვიტან.

— გუნდს სპიდი კლაქსტონი, შელდენ უილიამსი და სოლომონ ჯონსი დაემატნენ. საკმარისია თუ არა ეს იმისათვის, რომ გუნდმა პლეი ოფში მოსახვედრად იბრძოლოს?

— ეს ბიჭები მართლაც დაგვეხმარებიან, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ერთი „დიდი ვინმე" კიდევ გვჭირდება. ვინმე ისეთი უნდა გამოჩნდეს, ვინც ზაზას ზედმეტი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს. ჩვენ საქმე უნდა ვაკეთოთ და ვივარჯიშოთ, გუნდის მენეჯერმა კი თავისი და ეგებ ვინმე გამოგვინახოს.

— შენი სიტყვებიდან გამომდინარე, „ჰოქსი" უფრო ახლოსაა პლეი ოფთან, ვიდრე ამას კრიტიკოსები ფიქრობენ. მართლა ფიქრობ, რომ ერთ-ორი დამატება საკმარისი იქნება მიზნის მისაღწევად, თუ უფრო ძირეული ცვლილებებია საჭირო?

— ამ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ყველა დანარჩენ გუნდზე მეტად ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. ზედმეტად „კაი ტიპები" ვიყავით და მეტოქეს ბევრს ვუთმობდით. მწვრთნელი ვუდსონი ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ უფრო აგრესიულები ვყოფილიყავით. ბევრმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა და ეს ჩვენი ბრალია. თუ გვინდა, რომ წარმატებას მივაღწიოთ, ლიგის ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ გუნდად უნდა ვიქცეთ.

— ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაში შენთვის ახალი ხილია. როგორ ფიქრობ, დატვირთვებს გაუძლებ?

— ამაზე სულაც არ ვნერვიულობ. ეს ჩემი საქმეა. მე ყოველთვის ვთამაშობ კალათბურთს, ეროვნულ გუნდში, სიზმარში თუ დედაჩემის სახლის ეზოში, მნიშვნელობა არა აქვს და თანაც ეს ის საქმეა, რომელიც მე ძალიან მიყვარს. ბევრი ვივარჯიშე იმისათვის, რომ საუკეთესო ფორმაში ვიყო და თავის მოვლაც ვიცი. მსოფლიოს ჩემპიონატზე არავინ აპირებს ყოველი მატჩის დროს 40 წუთი ითამაშოს, ამიტომ ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობებზე ნუ ინერვიულებთ. საწვრთნელი შეკრება რომ დაიწყება, მზად ვიქნები.



# მშივრები ვართ

## ჯინობილი ოქროთი ვერ გაძღა

**მსოფლიოს** ჩემპიონატამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა და სამზადისში ჩავლული მონაწილე გუნდებიც ძალას და კალორიებს არ იშურებენ, მუნდიალზე რომ არ შერცხვნენ.

თვით ამერიკელებმაც კი, რომელთაც მანამდე საერთაშორისო ტურნირები გასართობ გასეირნებად მიაჩნდათ და ამით გამო არაერთხელ დაისაჯნენ, ახლა ქუდზე კაცი იხმეს და ლას ვეგასში საწვრთნელი კემპი დასცეს. შემადგენლობაც სოლიდური შეკრიბეს და მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობ-ლაპარაკობენ.

ბოლო დიდი ტურნირებზე დამკვიდრებული ტრადიციით, მძლავრ გუნდს წარადგენენ არგენტინელები, რომლებმაც 2002 წელს თითქმის მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი, 2004 წელს კი ულაპარაკოდ მოიგეს ოლიმპიადა.

„კი, ჩვენ ოლიმპიური ჩემპიონები ვართ, მაგრამ იაპონიაში მაინც მშიერი კუჭით და გამარჯვების წყურვილით ჩავდივართ — ამბობს არგენტინელთა ლიდერი ემანუელ ჯინობილი — ჩვენ რომ მოგება არ გვინდოდეს, ბილეთებს უკან ჩავაბარებდით და მარელ პლატას პლაჟებს შევესეოდით. მართალია, ამხანაგურ მატჩებში ჯერ ისეთ დონეს ვერ ვაჩვენებთ, როგორსაც ორი წლის წინ ათენში, მაგრამ 19 აგვისტოსთვის მუნდიალზე პირველ მეტოქე საფრანგეთთან 100 პროცენტით მზად ვიქნებით".

საფრანგეთთან ჯინობილის სანანტონიოელი თანაგუნდელის ტონი პარკერს წინააღმდეგ მოუწევს ბურთაობა. ჯგუფში არგენტინისა და საფრანგეთის გარდა კიდევ ოთხი გუნდია — ვენესუელა, ლიბანი, ნიგერია და რაც მთავარია, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სერბეთი, რომელთანაც არგენტინელებმა 2004 წლის ჩემპიონატის ფინალი ბოლო წამებზე წააგეს.

ჯინობილი თავისთავად უდიდესი ძალაა. მას თითქმის ყველაფერი მოუგია საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული აკლია და ამ ოქროს სწორედ ახლა შეუტევს. არგენტინელთა ნაკრებს სხვაც ბევრი ჰყავს ძველი ვარსკვლავები — თუნდაც „ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთი ლიდერი ანდრეას ნოჩიონი, „დეტროიტ პისტონზის" სკამოსანი კარლოს დელფინო, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი ლუის სკოლა, ბებერი ცენტრი ფაბრიციო ობერტო და სხვანი მრავალნი. მწვრთნელი კი ახალი ჰყავთ სამხრეთამერიკელებს — სერხიო ერნანდესი.

**კოტე ყორშია**



ემზარ ზენაიშვილმა მარიო პესკანტეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა

# წავიდა, თუმცა იქვე დარჩა

*გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც რომში შაბათ-კვირას გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა. ეს ინტერვიუც ამასთან დაკავშირებით ჩავიწერეთ*

— ჩვენს მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ შეიცვალა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა, წარვუდგინეთ ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი ირლანდიელი პატრიკ ჰიკიც, მაგრამ თითქმის არაფერი ვიცით ახალი გენერალური მდივნის, იტალიელი რაფაელე პენოცის შესახებ.

— რაფაელე პენოცი ცნობილი სპორტული ფუნქციონერია. თავის დროზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, ახლა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანია, რომში კი იგივე პოსტი ევროპის ოლიმპიურ კომიტეტშიც ანდეს. პენოციცა და ჰიკიც ამ არჩევნებზე უალტერნატივონი იყვნენ, რაც მთელი ევროპის ოლიმპიური მოძრაობის ერთსულოვნებაზე მეტყველებს. ვფიქრობ, ამგვარი არჩევანი არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ოლიმპიურ მოძრაობას მოუტანს სიკეთეს. ეტყობა, ასეთივე მოლოდინი ჰქონდათ არაევროპელებსაც, რომლებიც ამ ასამბლეის მუშაობას დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ამერიკის, იაპონიის, კორეის, არაბული ქვეყნებისა და სხვათა წარმომადგენლები. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიოს ასოციაციის მეთაური მარიო ვასკეს რანია. სამწუხაროდ, რომში ვერ ჩამოაღწია სოკ-ის ყოფილმა, ახლა კი მისმა საპატიო პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რაშიც მას ბარსელონის აეროპორტის ავიადისპეჩერთა მოულოდნელმა გაფიცვამ შეუშალა ხელი. ასე იყო თუ ისე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აწ უკვე ექსპრეზიდენტის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცეს ევროპელებმაც და არაევროპელებმაც, რომლებმაც იგი ჯილდოებით გააცილეს. მას თავიანთი, ფრიად ავტორიტეტული ორგანიზაციების ჯილდოები გადასცეს ჟაკ როგმა და მარიო ვასკეს რანიამაც. სხვებს არც ჩვენ ჩამოვრჩით, პესკანტეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენი გადავეცით, რისი პატივიც სწორედ მე მხვდა წილად.

— და მაინც, პესკანტემ რატომ დატოვა ეს პოსტი?

— იგი მეტისმეტად აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში და სპორტისთვის ველარ იცლის. იგი ამ სფეროში ჯერჯერობით რჩება, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი.

— ევროპის ოლიმპიური კომიტეტიდან მისი იტალიელი მეთაურის წასვლის შემდეგ ამავე ორგანიზაციის ასევე ძალიან მაღალ თანამდებობაზე მაინცდამაინც ისევ იტალიელის მოსვლა რამ განაპირობა?

— ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვთქვი, რაფაელე პენოცი ცნობილი სპორტული მოღვაწეა. მის დაწინაურებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინა სწორედ იტალიაშია. ამას გარდა, პენოცი მნიშვნელოვნად ეხმარება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს...

— ეს ასამბლეა კიდევ რითი იყო მნიშვნელოვანი?

— მისი წევრები პრაქტიკულად მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებისთვის შეიკრიბნენ, თუმცა ასამბლეამ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის დებულებაში ერთი ცვლილება შეიტანა და შემოიღო ამ ორგანიზაციის სამუდამო საპატიო პრეზიდენტის პოსტი. ამ პოსტზე სწორედ მისი ექსპრეზიდენტი მარიო პესკანტე აირჩიეს.

**ავთანდილ ტყვიშელი**



# როცა ულვაში უნამუსობის ნიშანია

## ქართველ ჭაბუკებს გადაზრდილები დააჭიდეს

**ჭაბუკთა** ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატზე აღებულ ხუთ მედალს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ სპეციალური პრესკონფერენცია მოაყოლა. მწვრთნელები და მოჭიდავეები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში შეიკრიბნენ და სტამბოლურ კვირეულზე ისაუბრეს. ბერძენ-რომაელთა მთავარ მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილისა და თავისუფალთა თავკაც თამაზ ბენდიანიშვილის კომენტარებამდე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა შეაფასა ევროპირველობაზე ქართველთა გამოსვლა.

„თურქეთში ორივე სახეობის მოჭიდავეებმა ერთად ხუთი მედალი აილეს — გვითხრა *ომზარ შოშიტაშვილმა* — ჩვენი საჭიდაო ტრადიციების გათვალისწინებით, ცხადია, არცთუ სახარბიელო შედეგია. მით უმეტეს, რომ ამ ხუთიდან ერთი მედალიც არაა ოქროსი. თუმცა ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ ბოლო წლებში გაწეული სამუშაოს გათვალისწინებით, ამ ბიჭების მიღწევა მაინც დამაკმაყოფილებელია. დაახლოებით ორი წელია, საქართველოში ასაკის გადაკეთებას სასტიკად ვებრძვით, რაც მსოფლიო ჭიდაობაში ჯერაც პრობლემაა. ასე რომ, სტამბოლში ყველაზე სუფთა გუნდი, მგონი, ჩვენ გვყავდა. 1989-90 წლებში დაბადებულ ბიჭებს თავისზე 4-5 წლით უფროსებთან უწევდათ ბრძოლა".

ასაკობრივ პრობლემაზე საუბარი *თამაზ ბენდიანიშვილმა* განაგრძო:

— ნაკრებში ექვსი 1990 წელს დაბადებული მოჭიდავე გვყავდა. ყველამ უძლიერეს მეტოქესთან წააგო, თან თანაბარ ბრძოლებში. საერთაშორისო ტურნირებზე გუნდი ბევრჯერ ჩამიყვანია და არასოდეს ყოფილა, შინ უმედლოდ დავბრუნებულიყავით. ახლა კი ჩემპიონატი რომ დაიწყო, გულახდილად გეტყვით, შემეშინდა. ამ პატარა ბიჭებს წვერულვაშიან კაცებთან უწევდათ ჭიდაობა. თითქმის ყველა ნაკრებში იყვნენ გადაზრდილები. ასეთ პირობებში სამი მედლის მოპოვებას წარუმატებლობად ვერ მივიჩნევ. გული უფრო ბიჭების სატურნირო გამოუცდელობაზე მწყდება. ეს რომ არა, ალბათ, ოქროსაც ჩამოვიტანდით. თორნიკე ხიდეშელმა ჩემპიონობის შანსი სამიოდ წამში დაკარგა. არადა, იქამდე ბრწყინვალედ ჭიდაობდა. არა უშავს, წელს ეს ვიკმაროთ, მომავალ წელს კი აშკარად უკეთესი ჭაბუკთა ნაკრები გვეყოლება".

*ვაჟა კრავეიშვილი:* „ფედერაციის ხელშეწყობით ამ ევროპირველობისთვის ორი შეკრება გავიარეთ და ტურნირებზეც ვიჭიდავეთ, მაგრამ სატურნირო გამოცდილების ნაკლებობა მაინც იგრძნობოდა. ეს რომ არა, ბიჭები თავისზე ბევრად უფროსებს კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ყველაზე მეტად გული პაატა ბაკურიძის უმედლოდ დარჩენამ დამწყვიტა. მას ბრინჯაომდე მხოლოდ ერთი მოგება დააკლდა. ამ შემადგენლობის დიდი ნაწილი მომავალი წლის დიდ ტურნირებშიც მიიღებს მონაწილეობას. იქამდე გამოცდილებაც მოემატებათ და უკეთეს შედეგსაც აჩვენებენ".

ფედერაციის პრეზიდენტმა *კახა გეწაძემ* ფილაში გაგზავნილი წერილი ახსენა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას საერთაშორისო ფედერაციისთვის ასაკის გადაკეთებაზე კონტროლის გამკაცრება მოუთხოვია, მაგრამ ჯერ არც პასუხი ჩანს და, მით უფრო, არც შედეგი.

**ოთარ მაღლაკელიძე**



თამაზ ბენდიანიშვილი, ომზარ შოშიტაშვილი და ვაჟა კრავეიშვილი



# ჩრდილოეთ ურალი უკრაინისაა

**მსოფლიოს** ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ „ჩრდილო ურალის თასის" გათამაშებაზე მეოთხე-მეექვსე ადგილები გაიყო.

მაიამ სუპერტურნირზე ჩატარებული ცხრა შეხვედრიდან ორი მოიგო, ერთი წააგო, დანარჩენი ყაიმით დაასრულა და გამარჯვებულ ეკატერინ ლაჰნოს ორი ქულით ჩამორჩა.

უკრაინელი დიდოსტატი კი თავიდანვე ლიდერობდა სატურნირო ცხრილს და ბოლო, მეცხრე ტურში საბოლოო გამარჯვებისთვის ყაიმიც ჰყოფნიდა. დასკვნით შეხვედრაშიც ლაჰნომ მეტოქე, მსოფლიოს ექსჩემპიონი, ბულგარელი ანტოანეტა სტეფანოვა ბევრი არ ანერვიულა, მე-11 სვლაზე სასურველი შედეგით დაასრულა პარტია და სანუკვარი თასიც ჩაიხუტა. სუპერტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო და ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, გამარჯვებულს შეხვდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. ეკატერინა ლაჰნო (უკრაინა) | 7 ქულა |
| 2. ჩენ ჟუ (ჩინეთი) | 6 |
| 3. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) | 5,5 |
| 4. ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) | 5 |
| 5. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) | 5 |
| 6. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 5 |
| 7. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) | 4 |
| 8. იფან ჰოუ (ჩინეთი) | 3 |
| 9. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) | 2,5 |
| 10. სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) | 2 |



# ქართველებისგან ძლეული კორიას გაუძვრა



AFP ვაშინგტონიდან

მარატ საფინი

| კაცები |
| --- |
| სოპოტი. პოლონეთი. თიხნარი |
| საპრიზო 500 000 $ |

**პირველი წრე**

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:1 6:2; ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:4 6:2; მიხალ პრზისეჟნი (პოლონეთი) — გილერმო კორია (4, არგენტინა) 5:6 *(უარი)*

| კაცები |
| --- |
| ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 600 000 $ |

**პირველი წრე**

მარატ საფინი (რუსეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 7:6; ანდრეა სტოპინი (იტალია) — პოლ გოლდსტინი (აშშ) 6:3 6:2; კენეტ კარლსენი (დანია) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:1 6:2; ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — სემ ქუერეი (აშშ) 2:6 7:6 7:6; კევინ კიმი (აშშ) — სემ ოუდსემა (აშშ) 6:1 6:3; დენის გრემელმაირი (გერმანია) — ვესლი ვაიტჰაუსი (სამხრეთ აფრიკა) 6:2 6:2; ფილიპ კინგი (აშშ) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:6 3:6 6:3; რაიან სვიტინგი (აშშ) — ჯასტინ გიმლესტობი (აშშ) 7:6 6:2; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — მაიკლ ვენუსი (აშშ) 6:2 6:1

| ქალები |
| --- |
| სან დიეგო. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 1 340 000 $ |

**პირველი წრე**

ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 6:4; ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4 6:3; პაოლა სუარესი (არგენტინა) — დინარა საფინა (9, რუსეთი) 3:6 6:3 6:4; ვასილისა ბარდინა (რუსეთი) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:2 6:4; მეილენ ტუ (აშშ) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:4 1:6 6:2; ემა ლეინი (ფინეთი) — ვანია კინგი (აშშ) 6:4 6:2; ჯამეა ჯექსონი (აშშ — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 4:6 6:2 6:4; სამანტა სტოსური (ავსტრალია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:5 6:4; ფლავია პენეტა (12, იტალია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 7:5 6:3; ანა ივანოვიჩი (14, სერბეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 6:1

**არგენტინელები** და ესპანელები ვერაფრით შორდებიან საყვარელ თიხნარს, რის გამოც აქამდე შემორჩნენ ევროპას, მაშინ, როცა ჩოგბურთელთა დიდმა ნაწილმა უკვე ოკეანისგაღმეთში გადაინაცვლა და იქაურ პირობებს ეჩვევა.

გრუნტის მოყვარულთა მარაქის წევრი ყოფილა ნიკოლაი დავიდენკოც, რომელიც რატომღაც არ ჩქარობს ჰარდზე გადასვლას. არადა, ევროპულ თიხნარზე კარგ შედეგებს რომ აჩვენებდეს, კიდევ ჰო. მოკლედ, რუსი ევროპაში ასე გვიანობამდე შემორჩენით ჯერ ხეირიანს ვერაფერს გამორჩა. გასულ კვირას კიცბიუელშიც მალე წააგო, მაგრამ პოლონურ სოპოტში ჩასვლა მაინც არ დაიშალა.

არ დაიშალა და თვითონვე იდარდოს, მაგრამ დაწყებით კი კარგად დაიწყო და პირველი თამაში ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა. თუმც ეს დიდწილად იმის ბრალიცაა, რომ რუსი თავის "კლიენტ" კრისტოფერ როხუსს ეთამაშებოდა. აქამდე დავიდენკო ბელგიელს ოთხჯერ შეხვედროდა და ოთხივეში ემარჯვა, ახლა კი მეხუთედ მოუგო.

ვერაფრით არ გამოიდარებს გილერმო კორიას ქუჩაზე. ეს არგენტინელი ბედმა ნამეტანი დაჩაგრა — ერთ დროს ელიტის უცვლელი ლომი ახლა ისე დაჩაჩანაკებულა, რომ უბრალო მოგებაც კი სანატრელი გახდომია. სოპოტშიც ბედის ამბავი იყო, თორემ პატაგონიელი თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა დევისის თასზე ქართველების მიერ დაყრიყვებული პრზისეჟნის უგებდა მაგრამ ახალმოშუშებული ტრავმის რეციდივის გამო თამაშის გაგრძელება ველარ მოახერხა და მეორე წრეშიც პოლონელი ითამაშებს.

კარგი თამაში თავის გულშემატკივრებს მარატ საფინმაც მოანატრა. გიგანტი რუსის ყოველი მოგება ლამის ზეიმია მისთვის და წლის სტატისტიკაც უსაზიზღრესი აქვს — 14 მოგება, 13 წაგება. თუმც ვაშინგტონში მარატს არა უშავდა და ნორმალურადაც ითამაშა, რაც მისთვის ამ სეზონში იშვიათია.

საფინმა ამჯერად თავისი მცირე წარმატებისთვის თანამემამულე დაჩაგრა და იგორ კუნიცინის დამარცხებას საათზე ოდნავ მეტი მოინდომა.

აშშ-ს დედაქალაქში მთავარი მოვლენები კორტს გარეთ განვითარდა — საქმე იმაშია, რომ ტრავმის გამო ტურნირიდან მოიხსნა ენდი როდიკი. იანკის მხარი ფრიად აწუხებს, სერიოზული ტრავმა არ უნდა იყოს და ოთხშაბათისთვის კარგად ვიქნებიო, ამბობს. თუმც აბა იქამდე ენდის ვინ მოაცლიდა — კორტზე გასვლა უკვე ამ ღამეს უწევდა და ამიტომაც თვითონ როდიკმა გაცლა და დასვენება ამჯობინა. სხვათა შორის, სწორედ ამ ტრავმის გამო იყო, ენდი-ბოილოს ანჯელესში დმიტრი ტურსუნოვს რომ ვერ შეერკინა მეოთხედფინალში.

ქალებმა კი სან დიეგოში უსერიოზულესი ტურნირი გააჩაღეს, რომელიც თავისი სიდიდითა და საპრიზოებით მარტო სლემტურნირებს თუ ჩამოუვარდება.

ძალიან უიღბლო გამოდგა პირველი სათამაშო დღე რუსებისთვის. სკალპი სამ სლავ ქალს აეხადა. ჯერ გამოცდილ ვეტერან ელენა ლიხოვცევასა და ახალგაზრდა მარია კირილენკოს ჩაალაგებინეს ჩანთები, მერე კი უფრო სერიოზული რუსის ჯერიც დადგა — პაოლა სუარესმა კარიერაში თუ არა, ბოლო ორ-სამ წელიწადში ნაღდად თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა და სან დიეგოს მეცხრე ნომრად განთესილი დინარა საფინაც გამოამშვიდობა. მარატის და, როგორც ჩანს, ვერ გადმოერთო ჰარდზე და დაისაჯა კიდეც.

სამაგიეროდ, სხვა ორმა განთესილმა — ფლავია პენეტამა და ანა ივანოვიჩმა იმარჯვეს და მეორე წრეში თამაშის უფლებაც გაინაღდეს. განსაკუთრებით თინეიჯერი სერბის კარგი ჩოგნაობაა გამოსაყოფი, რომელმაც აკიკო მორიგამის სულ რაღაც სამი გეიმი დაუთმო.

**ბაჩა ლომაძშვილი**

# მელიქიშვილი რაოს ვერ გასცდა

**ჩვენი** ქალთა ჩოგბურთის მეორე ნომერმა სოფო მელიქიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონის ჰარდზე **ITF**-ის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრი დაწყებისთანავე დაასრულა.

19 წლისა და **WTA**-ს კლასიფიკაციაში 289-ე ადგილზე მყოფმა სოფომ 75 ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში 5:7 4:6 წააგო კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილ ამერიკელთან, 20 წლისა და რეიტინგში 197-ე ადგილზე მყოფ სანითჰა რაოსთან.

კვალიფიკაციიდან შეეცდება იტალიური კარდონე ვალ ტრომპიას თიხაზე მიმდინარე 10 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კლასიფიკაციის 1118-ე ნომერი, 16 წლის თეონა ცერცვაძე, ვინც პირველ წრეში თავისზე სამი წლით უფროს, მაგრამ რეიტინგში, ოდენ 1384-ე ადგილზე მყოფ იტალიელ მინა პედერცოლის შეხვდება.

იტალიაშივე, ოღონდაც მარტინა ფრანკას 50 ათასიან შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას ჩვენი პირველი ნომერი მაკა ჩახნაშვილი. მაკა ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მავან კვალიფიკაციაგამოვლილ მეტოქეს შეხვდება. თუ ამ ბარიერს გადალახავს, მერე ჩახნაშვილი ან პირველ ნომრად განთესილ იტალიელ ნატალი ვიერინის დაუპირისპირდება, ანაც მეორე მასპინძელ ალისია კანეპას.



**ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში**
**ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო**



AFP ბუდაპეშტიდან

გერმანელმა ქალთევზებმა მსოფლიოს რეკორდით გაიხარეს

# გერმანული ქალმკლავური

**უნგრეთში** მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე სინქრონულად მოცურავე გოგონებმა და ღია წყლის გოგო-ბიჭებმა თავიანთი წილი მედლები გაათამაშ-დაინაწილეს, მთავარი კი ახლა იწყება — 31 ივლისიდან ბუდაპეშტის უკოხტავეს აუზში გადაეშვნენ კლასიკური მოცურავეები, რომელთა შორის მრავალი სახელიანი წყალჯომარდი ურევია.

კლასიკური ცურვის პირველ დღეს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა და ერთ სახეობაში მსოფლიო რეკორდიც გამოცხვა. 4 X 100 მეტრზე ქალთა შორის თავისუფალი სტილით ესტაფეტაში გერმანელ დედაკაცთა ოთხეულმა 400 მეტრი ისე სწრაფად გაცურა, როგორც სხვას არავის გაუცურავს. პეტრა დალმანმა, დანიელა გოეტცმა, ბრიტა სტეფენმა და ანიკა ლიებსმა 400 მეტრი 3 წუთსა და 35,22 წამში გაიმლავურეს და ავსტრალიელ ქალთევზათა ძველი მსოფლიოს რეკორდი 0,72 წამით გააუმჯობესეს. ამასთან, გერმანელებმა თითქმის ორი წამით მიასწრეს ფინიშთან უახლოეს მდევარ ჰოლანდიელებს და სამნახევარი წამით აჯობეს ბრინჯაოსან ფრანგებს.

4 X 100 მეტრ კაცთა ანალოგიურ ესტაფეტაში იტალიელებმა კონტინენტისვის სარეკორდო დროში მოიგეს — ეს დისტანცია 3 წუთსა და 15,23 წამში აქამე არც ერთ ევროპულ ნაკრებს არ გაუცურავს. იტალიელებს რუსები მიჰყვნენ, ბრინჯაო კი აქაც ფრანგებს შეხვდათ.

იტალიურ დელეგაციას კიდევ ერთი, ოღონდ ინდივიდუალური ოქროც შეხვდა. შეხვდა კი არა, გამოიმუშავა 400 თავისუფალი მეტრის 4.35,80 შედეგით მომგებმა აპენინელმა გოგონა ალესია ფილიაიმ გამარჯვებულმა ორ წამზე მეტით აჯობა გერმანელ ნიკოლ ჰეტცერს.

ხოლო კაცთა შორის 400 თავისუფალი მეტრი რუსმა იური პრილუკოვმა მოიგო და ზედაც კონტინენტის რეკორდიც მიაყოლა ჩაროზად. პრილუკოვს წლეულს არც ერთი გაცურვა არ წაუგია და ყველა გაოცებული უყურებდა მისი ცურვის პირველ 100-ეულ მეტრებს. რუსმა საშინლად დაიწყო თუ ასეთი ტაქტიკით ცურავდა, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ თავიდან ის ყველას ჩამორჩა და აუზში მისი არსებობა გადაავიწყდათ, მაგრამ დისტანციის ნახევრის შემდეგ მან მკვეთრად აჩქარა მკლავ-ტერფი და ერთიმეორის მიყოლებით ჩამოიტოვა თანამოცურავენი. ბოლო 100 მეტრზე წასვლისას ის უკვე მეორე იყო. იტალიელი მასიმილიანო როსოლინი მთელი კორპუსით უსწრებდა, მაგრამ უკანასკნელ 50 მეტრზე ესეც უკან მოიტოვა და 3 წუთსა და 45,73 წამში გალია 400 მეტრი, რითაც ევროპის ძველი რეკორდსმენის, იტალიელი ემილიანო ბრემბილას, საუკეთესო შედეგს 0,23 წამი მოაკლო.

**კოტე ყორშია**

| 4 X 100 მ. თავისუფალი კაცები | |
| --- | --- |
| 1. იტალია | 3:15,23 |
| 2. რუსეთი | 3:37,04 |
| 3. საფრანგეთი | 3:38,83 |

| 4 X 100 მ. თავისუფალი. ქალები | |
| --- | --- |
| 1. გერმანია | 3:35,22 |
| 2. ჰოლანდია | 3:37,04 |
| 3. საფრანგეთი | 3:38,83 |

| 400 მ. თავისუფალი. კაცები | |
| --- | --- |
| 1. იური პრილუკოვი (რუსეთი) | 3:45,73 |
| 2. მასიმილიანო როსოლინი (იტალია) | 3:46,87 |
| 3. ნიკოლა როსტუშე (საფრანგეთი) | 3:47,04 |

| 400 მ. თავისუფალი. ქალები | |
| --- | --- |
| 1. ალესია ფილიპი (იტალია) | 4:35,80 |
| 2. ნიკოლ ჰეტცერი (გერმანია) | 4:37,97 |
| 3. კატარჟინა ბარანოვსკა (პოლონეთი) | 4:40,02 |

# ლენდისის დოპინგ-საგა ხელოვნურ ელფერს იღებს

## ფლოიდის შარდი ბუნებრივი არ ყოფილა



**მაშინ**, როდესაც „ტურ დე ფრანსის“ ამერიკელი ჩემპიონი ფლოიდ ლენდისი ამტკიცებს, რომ დოპინგი არ მიულია და წარმოდგენა არ აქვს მომხდარის შესახებ, ხოლო ლენდისის გუნდის, შვეიცარიული „ფონაკის“ ექიმის დენის დემირის აზრით, ორგანიზმში ტესტესტერონის მომატება, შეიძლება, ფლოიდის მიერ „ტურის“ მე-17 ეტაპის წინა საღამოს მიღებულ ალკოჰოლს გამოეწვია, მთელი რიგი ფრანგული საინფორმაციო საშუალებები და ამერიკული „ნიუ იორკ ტაიმსიც“ იტყობინებიან, რომ ურთულესი, მონზინის ეტაპის შემდეგ ლენდისის შარდში აღმოჩენილი ტესტესტერონი ხელოვნური, და არა ნატურალური წარმოშობისაა და, თუ ეს ასეა, ესე იგი, ფლოიდს მართლა მიულია რაღაც აკრძალული პრეპარატი.

ფრანგული „ეკიპის“ მონაცემები შატენე-მალაბრის ანტისადოპინგო ლაბორატორიის დასკვნებს ეფუძნება და ამასთან დაკავშირებით, ლენდისის ადვოკატი ხოსე მარია ბუქსედა, ვინც თავის დროზე „ვუელტას“ სამგზის ჩემპიონსა და დისკვალიფიკაციის გამო მეოთხე ჩემპიონობაწართმეულ რობერტო ერასს იცავდა, აცხადებს, რომ მთელი რიგი ანტისადოპინგო ლაბორატორიების მეთოდები ნდობას არ იმსახურებს და ასეთთა შორის შატენე-მალაბრის ლაბორატორიასაც ასახელებს. ბუქსადას აზრით, **IRSM**-ის მეთოდით, რომლითაც ლენდისის შარდში ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობა იქნა დადგენილი, მრავალი მოწინავე ლაბორატორიისთვის მიუღებელია.

ამასთან დაკავშირებით, მონრეალის ანტისადოპინგო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა კრისტიან აიოტმა განაცხადა, რომ მისი ლაბორატორიაც იყენებს **IRSM**-ის მეთოდს და წარმატებითაც, ისევე, როგორც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ლაბორატორიათა უმრავლესობა. ამავდროულად, აიოტმა ბრძანა, რომ ალკოჰოლს მართლა შეუძლია გამოიწვიოს ტესტოსტერონის მომატება, ოღონდაც, მხოლოდ ქალის ორგანიზმში და ისიც 3-4 საათით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლენდისის დოპინგ-საგა გრძელდება და ყველა დაინტერესებული მხარე განმეორებითი **B** ანალიზის პასუხს ელის, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. თუ **B** ანალიზის პასუხმაც დაადასტურა ლენდისის ორგანიზმში მომატებული ტესტოსტერონის არსებობა, მაშინ „ტურ დე ფრანსის“ 103-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად მოხდება, რომ ჩემპიონს ჩემპიონის წოდებას და გამარჯვებულის სარგო ყვითელ მაისურას ჩამოართმევენ და ამ მაისურას მეორე ადგილზე გასულ მრბოლს, ამ შემთხვევაში ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს გადასცემენ.

# ვალვერდე საკუთარი ქუჩით ბრუნდება



**ველოსიპედისტთა** „პრო-ტურის“ საერთო ჩათვლის ლიდერი ალეხანდრო ვალვერდე, ვინც „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთ საწყის ეტაპზე დაშავდა და სუპერრბოლას გამოეთიშა, უკვე მწყობრშია და 12 აგვისტოს სან-სებასტიანის ერთდღიან კლასიკურ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.

ვალვერდე „ტურის“ ერთ-ერთი მთავარი, ხოლო იან ულრიხის, ივან ბასოსა და ალექსანდრ ვინოკუროვის მოკვეთის შემდეგ უმთავრესი ფავორიტი იყო, მაგრამ უნიჭიერეს ბასკს ფრანგულ გზებზე ბედი არ სწყალობს და ტრავმის გამო ზედიზედ მეორედ ვერ მოახერხა „დიდი მარყუჟის“ ბოლომდე შეკვრა.

ახლა ვალვერდე ბრუნდება და დანაკარგის ანაზღაურებას შინაურ გარემოში, აგვისტოს ბოლოს დასაწყებ „ვუელტა ესპანაზე“ შეეცდება. მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ ალეხანდროს მშობლიური ქალაქის, მურსიას პროვინციაში მდებარე მონტეაგუდოს მერიამ ერთ-ერთ ქუჩას ვალვერდეს სახელი მიანიჭა და ასე აღნიშნა მრბოლის დამსახურება ქალაქის წინაშე.

# აქაც მოგკვეთავთ



იან ულრიხს ბლარც „ვუელტაზე“ უშვებენ

**დიდი** შანსია, „ტურ დე ფრანსიდან“, სკანდალურად ცნობილ ესპანელ ექიმთან ფუენტესთან ურთიერთობის გამო მოკვეთილნი — ივან ბასო, იან ულრიხი და ფრანსისკო მანსებო სეზონის მესამე და ბოლო სუპერრბოლის „ვუელტა ესპანას“ მიღმაც აღმოჩნდნენ.

კომპანია **UNIPUBLIC**-მა, რომელიც „ვუელტას“ ორგანიზატორია, ბასო, ულრიხი და მანსებო პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და დაიქადნა, რომ 26 აგვისტოს, როდესაც „ვუელტა“ სტარტს აიღებს, ჩამოთვლილი მრბოლები, ისევე, როგორც „ფუენტესის საქმეში“ გარეული სხვა ველოსიპედისტები, ესპანური სუპერრბოლის მონაწილეთა შორის არ იქნებიან.





# ჰაშეკმა დეტროიტში მეორედ შეცურა

**დეტროიტს** დომინატორი დაუბრუნდა. 41 წლის ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარე დომინიკ ჰაშეკმა დეტროიტთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ძალითაც 750 000 დოლარს მიიღებს. ხოლო თუ გუნდი პლეი ოფშიც წარმატებით გამოვა, დომინატორი პრემიის სახით კიდევ მილიონით შეივსებს ჯიბეს.

თუმც ეს ამბავი მაინც ფრიად მოულოდნელი და ბევრისთვის წარმოუდგენელიც კი იყო.

საქმე იმაშია, რომ ჰაშეკი „დეტროიტში“ ადრეც თამაშობდა. 2001-02 წლების სეზონში ჩეხი სპეციალურად გადავიდა „წითელფრთიანებში“ იმ იმედით, რომ თავის დიდ ოცნებას აიხდენდა და სტენლის თასს მოიგებდა. დომინატორმა ნატვრა აისრულა და ამაში მისი დამსახურებაც საკმაოდ დიდი იყო.

თუმც შემდეგ ჰაშეკმა დასვენება გადაწყვიტა და ჰოკეის მხოლოდ 2003-04 სეზონში დაუბრუნდა. ამ დროისთვის კი „დეტროიტში“ უკვე იყო კიდევ ერთი ელიტარული მეკარე კერტის ჯოზეფი, რომელთანაც ჰაშეკს სერიოზული პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ გუნდიდან საკმაოდ ხმაურიანი სკანდალით წავიდა.

სწორედ ამიტომაც იყო მოულოდნელი დეტროიტელთა შეფის ჰოლანდისგან დომინატორის გუნდში დაბრუნება. მით უმეტეს, რომ ჰაშეკს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები აქვს და შეძლებს თუ არა პლეი ოფამდე ჯანმრთელად მისვლას, არავინ იცის. სხვათა შორის, ჰოლანდის წინადადება თვითონ ჩეხისთვისსაც დიდი სიურპრიზი გამოდგა.

„მის ზარს ნაღდად არ ველოდი. მეგონა, უკვე აღარავის სჭირდებოდა ჩემი დახმარება. თუმც ამ ზარმა გაოცებაზე უფრო მეტად გამახარა“ — თქვა ჰაშეკმა.

შეგახსენებთ, რომ დომინიკ ჰაშეკი უკანასკნელი დეკადის ერთ-ერთი საუკეთესო კიპერია. ის კარიერის განმავლობაში 6-ჯერ დაასახელეს ნჰლ-ის საუკეთესო მეკარედ, ორჯერ კი რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ. 1998 წელს ნაგანოში ჩეხებმა დიდწილად სწორედ დომინატორის ფანტასტიკური თამაშის შედეგად მოიგეს ოქროს მედლები. სტენლის თასის დაჭერა კი ჰაშეკს, როგორც მოგახსენეთ, 2002 წელს სწორედ „დეტროიტის“ შემადგენლობაში ეღირსა.

**ბაჩა ლომაშვილი**



## ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

B-36 ტორსჰავნი (ფარერები) 0:5 *ფენერბაჰჩე (თურქეთი)* (0:4)

## გერმანია

ლიგის თასი. ნახევარფინალი

*ვერდერი* 2:1 ჰამბურგი

## ავსტრია

I დივიზიონი. I ტური

ადმირა 0:2 ლუსტენაუ

აუსტრია (ლ) 2:2 პარნდორფი

აუსტრია (ზ) 0:3 შვანენშტადტი

გრატკორნი 5:1 კაპფენბერგი

ლინცერი 2:1 კერნტენი

ლეობენი 4:1 ჰარტბერგი

## ამხანაგური მატჩები

გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:0 ლივერპული (ინგლისი)

უნტერჰახინგი (გერმანია) 2:0 ნიურნბერგი (გერმანია)

გოუ ეჰედ იგლსი (ჰოლანდია) 3:2 ნაიმეგენი (ჰოლანდია)

მარიბორი (სლოვენია) 2:1 უტრეხტი (ჰოლანდია)

დიუსელდორფი (გერმანია) 1:1 როდა (ჰოლანდია)

დორდრეხტი (ჰოლანდია) 1:1 ოსი (ჰოლანდია)

აეკ (საბერძნეთი) 3:1 ბენფიკა (პორტუგალია)

სიტარდი (ჰოლანდია) 2:1 ტილბურგი (ჰოლანდია)

კიდერმინსტერი (ინგლისი) 1:5 ძოვენთრი (ინგლისი)

კამბური (ჰოლანდია) — ვალვაიკი (ჰოლანდია) *0:0-ზე ჩაიშალა*

# კალე



ნეტავ იმ დროს... მაგრამ ახლაც, ხანდახან და გასართობად, კალე რუმენიგე ფეხბურთს თამაშობს. „ბაიერნი" იაპონიაშია და იქ ხურდება სეზონისთვის, მისმა ბებერმა ვარსკვლავებმა კი საიტამას სტადიონზე „ურავას" ვეტერანებს 3:1 მოუგეს. რუმენიგემ ძველებურად დუბლი შეასრულა.

# პრობლემა



ტონი ბლერი კალიფორნიაშია. იქაურობას გუბერნატორი ჰყავს. გუბერნატორს მძიმე ოქროს ბეჭდები უყვარს. მას ყველა იცნობს. ბრიტანეთის პრემიერი უსმენს გუბერნატორს, რომელიც გლობალური დათბობის პრობლემაზე საუბრობს.

# ჩაიჭირეს



ფრანგი მორბენალი ნორდინ გეზარი ჯერ კიდევ გუშინ ლონდონში მიმდინარე მძლეოსნობის დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობდა, მაგრამ ახლა უკვე შინაა და თავს იმართლებს, არ ვიცი, ნანდროლონი როგორ მოხვდა ჩემს სისხლშიო. გეზარმა დოპინგ-ტესტი 28 ივლისს გაიარა, მისი ვექილი ჟილ პორტეჟუ კი სპორტსმენის სიმართლის დამტკიცებას ცდილობს.

# მეფის საქმე

ზაფხულია და რა გასაკვირია, რომ ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი თავისსავე დაარსებულ მეფის თასის რეგატაში ჩაბმულა. რა თქმა უნდა, მაიორკაა და შეჯიბრი კი ოცდამეხუთედ ტარდება.




# სინქრონის ჯანი

ესეც ასე: სინქრონულ ცურვაში რომ სულ უფრო მეტად იჭრება ტანვარჯიში, აშკარაა. ამას ესპანელი გოგონებიც ამტკიცებენ ბუდაპეშტში მიმდინარე ევროჩემპიონატზე.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიძე, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00